კავსასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თამარ ოქროჭელიძე

კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ჭრილში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - როინ მიგრიაული, სამართლის დოქტორი

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია.....3

შესავალი.....5

თავი I ზოგადად კრედიტორის შესახებ.....7

ა) ისტორიული მიმოხილვა.....7

ბ) გადახდისუუნარობის კრედიტორის ცნება.....8

თავი II კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების სამართლის მიხედვით.....11

ა) ცნება.....11

ბ) კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი.....13

გ) გაკოტრების პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები.....14

2.1 კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები:.....16

2.1.1 საკუთრების კრედიტორი.....16

ა) ცნება.....16

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა.....18

გ) გამოცალკავება.....19

2.1.2 უზრუნველყოფილი კრედიტორი.....19

ა) ცნება.....19

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა.....21

გ) უზრუნველყოფილი საგანი.....22

დ) დატვირთული ნივთის რეალიზაცია.....23

ე) უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება.....24

ვ) მიმართება საკუთრების კრედიტორთან.....25

2.1.3 მასის კრედიტორი.....26

ა) ცნება.....26

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა.....28

გ) მასის ხარჯები და მასის ვალდებულებები.....29

დ) დაკმაყოფილება.....30

თავი III კრედიტორის სტატუსი გადახდისუუნარობის სამართალში.....32

ა) გადახდისუუნარობის კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი.....32

ბ) გადახდისუუნარობის პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები.....34

3.1 კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები.....35

3.1.1 საკუთრების კრედიტორი.....35

3.1.2. უზრუნველყოფილი კრედიტორი.....36

ა) უზრუნველყოფილი კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა.....36

ბ) უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება.....36

3.1.3 ახალი კრედიტორი.....38

ა) ცნება.....38

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა.....39

გ) დაკმაყოფილება.....39

თავი IV კრედიტორთა ორგანიზაციები.....41

4.1 კრედიტორთა კრება.....41

ა) ცნება.....41

ბ) კრედიტორთა კრების ფუნქციები.....44

4.2 კრედიტორთა კომიტეტი.....45

ა) კრედიტორთა კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილება.....45

თავი V კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის მიხედვით.....47

ა) კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა.....49

ბ) კრედიტორთა კრება.....52

გ) კრედიტორთა კომიტეტი.....53

დასკვნა.....56

გამოყენებული ლიტერატურა.....58

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, გადახდისუუნარობის კრედიტორი.

ჩემს მიერ შესრულებულ ნაშრომში განხილულია ზოგადად კრედიტორი, როგორც სამოქალაქო სამართლის მიხედვით ისე გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართლის მიხედვით.

ყურადღება ეთმობა კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას გაკოტრების 1996 წლის კანონისა და გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის მიხედვით, კერძოდ განხილულია გაკოტრების კრედიტორის ცნება, კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი, პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები, ასევე კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები.

ნაშრომში მოცემულია კრედიტორთა ორგანიზაციები, კერძოდ კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი, საუბარია მათ ცნებაზე, უფლებამოსილებასა და შემადგენლობაზე.

ასევე ნაშრომში განხილულია კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ჭრილში.

Tamar Okrotchelidze

Annotation

Master's work presents one of the most important issues of law - insolvency creditor.
In my work the creditor is considered in general, according to a civil law, bankruptcy and insolvency law.
Attention is given to the creditor's legal status under the Bankruptcy Act of 1996 and the Insolvency Act of 2007, in particular the conceps of Bankruptcy creditor, the principle of equity of creditors, privileged and non-privileged creditors, as well as special types of creditors.
The paper focuses on the creditors organizations, namely the Creditors Ceeting and the Committee of Creditors, and speaks about their concept, authority and composition.
The paper also discusses the legal status of the creditor in the scope of insolvency reform.

შესავალი

გაკოტრების სამართლის შემოღებით, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მკვიდრდებიან ამ ურთიერთობათა ახალი მონაწილენი, რომელთაც არ იცნობდა სამართლის თეორია და პრაქტიკა. ისინი აღჭურვილნი არიან განსხვავებული უფლებებითა და ფუნქციებით. შესაბამისად მათ გააჩნიათ განსხვავებული სამართლებრივი შინაარსი.
კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთ ახალ მონაწილეს წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორი. გაკოტრების კრედიტორი ვალაუვალ მოვალესთან ერთად წარმოადგენს გაკოტრების წარმოების ერთ-ერთ მხარეს.

თემის აქტუალობას განაპირობებს კანომდებლის მიზანი დააბალანსოს კრედიტორისა და მოვალის მიზნები იმგვარად, რომ მათი ინტერესების დაკმაყოფილება მოხდეს თანაბარზომიერად. მაგალითად, მისცეს საშუალება მოვალეს განაწილვადოს ვალის გადახდა და ამით თავიდან აიცილოს გაკოტრება (მოვალის ინტერესების დაცვა) და, მეორეს მხრივ, მისცეს საშუალება ყველა კრედიტორს, რომ თანაბრად მიიღონ შესრულება (კრედიტორის ინტერესების დაცვა).

თემის მიზნად დავისახე განვმარტო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთი ახალი მონაწილის კრედიტორის სამართლებრივი სტატუსი, როგორც გადახდისუუნარობის ასევე გაკოტრებისა და სამოქალაქო სამართლის ჭრილში, ყურადღება გავამახვილე გადახდისუუნარობის კანონის ახალ პროექტზე, რომლის ძალაში შესვლა, ვფიქრობ, რომ წარმატებული ნაბიჯი იქნება დღევანდელი საქართველოსთვის, ნაშრომში შევეცადე დამეხასიათებინა კრედიტორის უფლებები და მოვალოებები.

კვლევის მეთოდი: ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც სხვადასხვა მეცნიერთა თუ პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების განხილვას, ასევე კანონმდებლობის თავისებურების დადგენას.

კვლევის ობიექტია: კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის სამართალში. განხილულია საქართველოს კანონები: „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ რომლებიც არეგულირებეს გაკოტრების სამართალს. კანონმდებელთა შეხედულებების შეპირისპირებისა და

პრაქტიკაში არსებული ცალკეული შემთხვევების შედარებითი ანალიზის საფუძელზე კვლევაში ასახულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე, იგი შედგება 60 ფურცლის, ანოტაციის, შესავლის, 5 თავის, 41 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

თავი I

ზოგადად კრედიტორის შესახებ

ა) ისტორიული მიმოხილვა

გაკოტრება ევროპული სამართლებრივი კულტურის ინსტიტუტია. მას ფესვები რომის სამართალში უძევს. გაკოტრებამ რომის სამართლიდან მოყოლებული, მე-18-19 საუკუნეებში კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალში დაიდო ბინა.

გამონაკლისი არც საბჭოთა სამართლის სისტემა ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ გაკოტრების ინსტიტუტი საბჭოთა სამართალში იდეოლოგიურად მიუღებლად მიიჩნეოდა, 30-იან წლებში რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მიღებულ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში მაინც იქნა შემოღებული აღნიშნული ინსტიტუტი, მაშინდელი კანონმდებლები მოერიდნენ პირდაპირ „გაკოტრების ცნების ხმარებას და სამართლის მოცემულ ინსტიტუტს „კერძო პირთა არშემძლეობად“, აგრეთვე, „გადახდისუუნარობად“ ნათლავდნენ.[1]

მოგვიანებით, განვითარებულ სოციალისტურ ხანაში გადახდისუუნარობის, ანუ პირთა არშემძლეობის ინსტიტუტი განიხილებოდა, როგორც გამოუსადეგარი და იდეოლოგიურად შეუსაბამო, რის გამოც იგი საერთოდ ამოვარდა საბჭოთა სამართლის სისტემიდან. მაშინდელი საბჭოთა მეცნიერები გადახდისუუნარობის გამოუსადეგარობას იმით ხსნიდნენ, რომ იგი არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო საბჭოთა მოქალაქეების მიმართ, ვინაიდან „საბჭოთა მოქალაქეების მატერიალური კეთილდღეობის არნახული ზრდა“ შესაძლებელს ხდიდა ვალდებულებების თავისდროულად შესრულებას. ხოლო თუ კი დავალიანებას მაინც ექნებოდა ადგილი, მაშინ კრედიტორების ინტერესის დასაცავად საკმარისად მიიჩნეოდა ჩვეულებრივი სამოქალაქო სასარჩლო წარმოება. მას ერთვოდა ისიც, რომ საბჭოთა ეკონომიკიდან სრულიად გაძევებულნი იყვნენ კერძო საწარმოები, სამეურნეო ასპარეზი მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებს ჰქონდათ დათმობილი.[2]

საბჭოთა სამართლის სისტემის დაშლამ, აიძულა საქართველო დადგომოდა სამართლის განვითარების ტრადიციულ გზას, ეს იყო გზა კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის ზომიერი რეცეფციისა, ეს საქმიანობა მე-18-19 საუკუნეებში გაგრძელდა ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის მიერ.

---

[1] მიგრიაული რ. სტატიები - „მოვალის გაკოტრება როგორც სანაციის საშუალება“, გაზეთი „მსგეფსი“, თბ 1997, გვ. 27

[2] იქვე გვ.27

ევროპული სამართლებრივი აზრის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს პარლამენტმა 1996წ 25 ივნისს მიიღო კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1997წ. 1 იანვარიდან. გაკოტრების ახალი კანონის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 სექტემბრის დეკრეტი „საწარმოთა გაკოტრების შესახებ“. აღნიშნული დეკრეტი, რომელიც იტო შეკვეცილი ვარიანტი რუსეთის ანალოგიური სახელწოდების კანონპროექტისა, არ შეესაბამებოდა გაკოტრების ევროპული ანალოგიური სახელწოდების კანონპროექტს, ასევე, არ შეესაბამებოდა გაკოტრების ევროპული ევროპული სამართლის სტანდარტებს. კერძოდ, იგი გაკოტრების სუბიექტების წრიდან გამორიცხავდა ფიზიკურ პირებს და მხოლოდ საწარმოთა გაკოტრების საკითხებს აწესრიგებდა. ამით იგი თვით გაკოტრების ფრანგულ მოდელზე კონსერვატორულიც კი აღმოჩნდა, რომელიც გაკოტრებაუნარიანობის თვისებას მხოლოდ კომერსანტებს ანიჭებდა, რომელთა შორისაც ხდება კომერსანტი-ფიზიკური პირიც.[3]

გაკოტრების კანონი უპირატესად ვალაუვალი მოვალის გადარჩენაზე იყო ორიენტირებული. კანონის ეს მიზანი პირველივე მუხლშია განცხადებული, როდესაც საუბარია ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების საფუძვლიან გადაწყვეტაზე. 2007 წელს მოხდა ახალი კანონის მიღება, რომელსაც გადახდისუუნარობის სახელწოდებით ვხვდებით.

ბ) გადახდისუუნარობის კრედიტორის ცნება

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს გაკოტრების სამართალი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვალ როლს იძენს. გაკოტრების სამართლის შემოღებით, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მკვიდრდებიან ამ ურთიერთობათა ახალი მონაწილეები, რომელთაც არ იცნობდა სამართლის თეორია და პრაქტიკა. ისინი აღჭურვილნი არიან განსხვავებული უფლებებითა და ფუნქციებით. შესაბამისად მათ გააჩნიათ განსხვავებული სამართლებრივი შინაარსი.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონი არეგულირებს ყველა სამართლებრივ პროცედურას, გადახდისუუნარობის საქმის განცხადების სასამართლოში შეტანის მომენტიდან, გაკოტრების წარმოების დამთავრების მომენტამდე.

[3] მიგრიაული რ. სტატიები - „მოვალის გაკოტრება როგორც სანაციის საშუალება“, გაზეთი „მსგეფსი“, თბ 1997, გვ. 28

როგორც ვთქვით, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთ ახალ მონაწილეს წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორი. გაკოტრების კრედიტორი ვალაუვალ მოვალესთან ერთად წარმოადგენს გაკოტრების წარმოების ერთ-ერთ მხარეს. კრედიტორი (ლათინური სიტყვისგან მომდინარეობს, კრედო- მე მჯერა) ინდივიდუალური, იურიდიული პირი ან ზოგადად სუბიექტი, რომელიც წარმოადგენს სამოქაოაქო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს იურიდიული ურთიერთობის სხვა მონაწილისგან - მოვალისგან გარკვეული ქცევა. კრედიტორები არიან ადამიანები, როლებსაც აქვთ მოვალის ვალდებულების ან სხვა ვალდებულებების მიმართ სავალდებულო უფლებები, სავალდებულო გადასახადის გადახდაზე.

ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა. ამ ურთიერთოებების ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც მეორისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ეწოდება კრედიტორი, ხოლო მეორეს, რომელიც ვალდებულია კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ნააკისრი ვალდებულება - მოვალე. (სსკ-ის 316 მუხლი).[4]

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში („მოქმედების შესრულება“), ისე უმოქმედობაშიც („მოქმედებისაგან თავის შეკავება“). როდესაც ნივთის გამყიდველი მყიდველისაგან მოითხოვს საფასურის გადახდას, ეს „მოქმედების შესრულების მაგალითია“. როცა მეზობელი მეორე მოზობლისაგან ითხოვს მიწის ნაკვეთზე უნებართო მშენებლობის შეჩერებას, ეს იქნება „მოქმედებისაგან თავის შეკავების“ მაგალითი.[5]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი, მუხლის 3 „ი“-ის მიხედვით, კრედიტორი - პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის მომენტისთვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა).[6] გადახდისუუნარობის კანონი ასეთ პირს არ უწოდებს არც „გაკოტრების კრედიტორს“ და არც „გადახდისუუნარობის კრედიტორს“, არამედ უბრალოდ „კრედიტორს“. მხოლოდ მისი დეფინიციით უნდა მივხვდეთ, რომ საუბარია ჩვეულებრივ გაკოტრების/გადახდისუუნარობის კრედიტორზე, რომლის საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნაც მოვალის მიმართ წარმოიშობა გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის მომენტისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387 მუხლი განიხილავს ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობას, თუ მოვალეს ეკისრება

---

[4] ავტორთა კოლექტივი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი მესამე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2001, გვ. 25

[5] იქვე გვ.27

[6] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3 „ი“.

კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაცპირველად დადგება. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყვრლაზე ძნელია. იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.[7]

გადახდისუუნარობის სამართალში არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა, გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით (მუხლი 40), თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2014, მუხლი387

თავი II

კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების სამართლის მიხედვით

ა) ცნება

გაკოტრების კანონი განსაზღვრავს კრედიტორის ლეგალურ დეფინიციას, გაკოტრების კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაკოტრების კრედიტორად მიიჩნევა ყველა ის პირი, ვისაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის ვალაუვალი მოვალის მიმართ საფუძვლიანი პირადი ქონებრივი პრეტენზია აქვს. [8]

გაკოტრების კრედიტორის ცნებაში მოცემულია ის ძირითადი ნიშნები, რაც ახასიათებს გაკოტრების კრედიტორს და, შესაბამისად, განასახვავებს მას გაკოტრების წარმოებაში მონაწილე სხვა კრედიტორებისაგან, მაგალითად:

გაკოტრების კრედიტორისათვის პირველი დამახასიათებელი ნიშანია ქონებრივი პრეტენზიის არსებობა. ქონებრივია ყველა ის პრეტენზია, რომელიც მიმართულია მოვალის ქონებისაკენ და კმაყოფილდება მისგან. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, პრეტენზია მიმართულია ფულისაკენ, თუ მოვალის ქონების სხვა მატერიალური საგნებისაკენ. ქონებრივი პრეტენზიები შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებირუვი ურთიერთობებიდან. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, ქონებრივი პრეტენზიის წარმოშობის კერძო-სამართლებრივი საფუძველია: ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ზიანის მიყენება-ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და სხვა.[9]

ქონებრივი პრეტენზიის წარმოშობის საჯარო სამართლებრივი საფუძველია, მაგალითად, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობა, კერძოდ, დაწესებული სახელმწიფო გადასახადის გადაუხდელობა. ამრიგად, გაკოტრების კრედიტორის ქონებრივ პრეტენზიას საფუძვლად უნდა ედოს განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა კანონიდან ან ხელშეკრულებიდან.[10]

---

[8] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 6.1

[9] მიგრიაული რ. „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, პირველი გამოცემა, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ 2011, გვ 34

[10] იქვე გვ. 34

ქონებრივი პრეტენზია არ უნდა იყოს მოგონილი ან „ჰაერიდან აღებული“. არსებითია, რომ პრეტენზია რეალურად უნდა არსებობდეს და ემყარებოდეს რეალურ ურთიერთობებ, ამასთან არ არის აუცილებელი, რომ კრედიტორის ქონებრივი პრეტენზია სრულად იყოს წარმოშობილი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისთვის, ან არ იყოს დამდგარი შესრულების ვადა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ რეალურ ქონებრივ პრეტენზიას შეიძლება ვუწოდოთ საფუძვლიანი და არა დასაბუთებული.[11]

გაკოტრების კრედიტორის დასახასიათებლად არსებითია, რომ მისი ქონებრივი პრეტენზია იყოს პირადი ხასიათის, ანუ იგი დაფუძნებული უნდა იყოს მოვალის პირად ქმედებაზე (ან უმოქმედობაზე), მაგალითად, შეუსრულებლობაზე, სარჩოს გადახდაზე უარის თქმაზე ან რაიმეს უსაფუძვლოდ მიღებაზე და ა.შ. შესაბამისად, გამოირიცხება სანივთო ხასიათის მოთხოვნები, რომელიც გააჩნია მესაკუთრეს საკუთარი ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ეს ნივთი გამოცალკევებული უნდა იქნას გაკოტრების მასიდან და დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირს.[12]

ამრიგად, სანივთო მოთხოვნის კრედიტორი არ მიიჩნევა გაკოტრების კრედიტორად. სამაგიეროდ, იგი გაკოტრების წარმოებაში შეიძლება მოგვევლინოს როგორც საკუთრების უფლების მქონე მესამე პირი.

გაკოტრების კრედიტორად პირის მიჩნევისათვის არსებითია აგრეთვე, რომ მისი ქონებრივი პრეტენზია წარმოშობილი იყოს გაკოტრების წარმოების გახსნამდე. ვალაუვალ მოვალეს, რა თქმა უნდა, შეუძლია დადოს გარიგებები გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, და შესაბამისად, დაეკისროს შესრულების ვალდებულება, ვინაიდან მას არ ეზღუდება ქმედუნარიანობა. მაგრამ ვალაუვალმა მოვალემ გარიგებები შეიძლება დადოს მხოლოდ ახალშენაძენზე, ანუ იმ ქონებაზე, რომელსაც იგი წარმოების გახსნის შემდეგ შეიძენს. რაც შეეხება წარმოების გახსნამდე არსებული ქონება, იგი ჩამოერთმევა მას და განსაკარგავად გადაეცემა გაკოტრების მმართველს. აქედან გამომდინარე, გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი პრეტენზიები (თუნდაც ქონებრივი) არ აფუძნებს საგაკოტრებო მოთხოვნებს.[13]

გაკოტრების კრედიტორი განსხვავდება ჩვეულებრივი კრედიტორისგან. განსხვავებისათვის, გადამწყვეტია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტი. წარმოების გახსნამდე არსებული ქონებრივი პრეტენზია აფუძნებს

[11] მიგრიაული რ. „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, პირველი გამოცემა, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ 2011, გვ 34

[12] იქვე გვ. 35

[13] მიგრიაული რ. სტატია „გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე”, ჟურნალი „ალმანახი“, 1998, გვ. 36

ჩვეულებრივ მოთხოვნას, ხოლო წარმოების გახსნის შემდეგ საგაკოტრებო მოთხოვნას.[14]

გაკოტრების კანონისგან განსხვავებით გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი იყენებს ტერმინს კრედიტორთა დასახასიათებლად „ფინანსური მოთხოვნა“. ავტორის აზრით იგი არ გამომდინარეობს ქონებრივი სამართლიდან, აღნიშნული ტერმინი უფრო ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიყენება და მას ეკონომისტები და ფინანსისტები იყენებენ. კანონმდებებელმა სიტყვა „ფინანსურის“ გამოყენებისას აქცენტი „ფულად სახსრებზე“ გადაიტანა და ამაში „ფულადი მოთხოვნა“ იგულისხმა.[15]

ავტორის მოსაზრება ჭეშმარიტად მიმაჩნია, ვინაიდან კრედიტორს მოვალის მიმართ მხოლოდ ფულადი ხასიათის მოთხოვნები შეიძლება გააჩნდეს, კრედიტორი მოვალესთან შედის სამართლებრივ ურთიერთობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე მხარეს სურს სარგებლის მიღება, ერთმანეთის დახმარებით, ეს სარგებელი ძირითად შემთხვევაში არის, სწორედ, ფულადი სარგებელი.

გ) კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი

გაკოტრების სამართალი გაკოტრების ყველა კრედიტორს განიხილავს თანაბრად, წარმოადგენს მათ თანაბარი უფლებამოსილების მქონე პირებად. შესაბამისად, გაკოტრების სამართალში მოქმედებს კრედიტორების თანასწორობის პრინციპი, თანასწორობის პრინციპი გამოიხატება შემდეგში:

ა) ვალაუვალი მოვალის ყველა კრედიტორს დაევალება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავიანთი მოთხოვნებები შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფასურის ჩვენებით, აგრეთვე ეცნობებათ, რომ ამ ვადის გასვლის შემთვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, კრედიტორთა მიერ წარდგენილი მოთხოვნები ჩაიწერება სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მოთხოვნების ცხრილში.[16]

---

[14] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 72

[15] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 137

[16] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 11.1 „გ“

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცემა გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს.[17]

გ) ყოველი მომდევნო რიგირს მოთხოვნა დაკმაყოფილდება მას შემდეგ ~, რაც სრულად დაკმაყოფილდება წინა რიგირს მოთხოვნა. თუ განაწილებული გაკოტრების მასა არ არის საკმარისი ერთი რიგის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის, მაშინ ისინი დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნების პროპორციულად.[18]

დ) საბოლოო ცხრილის დამტკიცების შემდეგ, გაკოტრების მმართველმა უნდა გაანაწილოს ამონაგები და იმ კრედიტორს , რომლის მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შესრულდა, აცნობოს, რომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ვალაუვალი მოვალის მიმართ შეიძლება წარედგინოს იძულებითი აღსრულების გზით. კრედიტორებს მიეცემათ სააღსრულებო ფურცლის ასლები გაკოტრების ტაბულიდან. ტაბულის ამონაწერიდან აღსრულებების სანაცვლოდ სასამართლოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევაში თავისი გადაწყვეტილებით უზრუნველყოს ვალაუვალი მოვალის სააღსრულებო დაცვა ამ უკანასკნელის განცხადებით ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[19]

ე) გაკოტრების ყველა კრედიტორს ჰქონდა უფლება მიეღო მონაწილეობა საგაკოტრებო მორიგების დადებაში და შეეტანა განცხადება საგაკოტრებო მორიგების თაობაზე.[20]

თანასწორობის მსგავს ცნებებს ითვალისწინებს გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონიც, თუმცა ვხვდებით ცვლილებებსაც, რომელზეც შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

გ) გაკოტრების პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები

სოციალური საფუძვლებიდან და ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე, გაკოტრების კანონი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს გაკოტრების ზოგიერთ

[17] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 13.3
[18] იქვე, მუხლი 18.2
[19] იქვე, მუხლი 27.2
[20] იქვე, მუხლი 23, 24

მოთხოვნას. ეს უპირატესობა თავს იჩენს ძირითადად განაწილების წარმოებაში, ანუ მასიდან დაკმაყოფილების პრივილეგირებულობაში. ამიტომაც, გაკოტრების სამართალი ასეთ მოთხოვნებს პრივილეგირებულ მოთხოვნებს უწოდებს, ხოლო მათ კრედიტორებს პრივილეგირებულ კრედიტორებს.[21]

პრივილეგირებული მოთხოვნები დაკმაყოფილდება სხვა, ანუ ე.წ. ჩვეულებრივ მოთხოვნებზე უფრო ადრე. ამასთან, ერთი რიგის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდება, მომდევნო რიგის მოთხოვნებთან შედარებით. თვით ერთი რიგის შიგნით კი მოქმედებს თანაბარზომიერად დაკმაყოფილების პრინციპი. შესაბამისად, გაკოტრების სამართალში არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლის თანახმადაც, ერთი კრედიტორის რამდენიმე მოთხოვნის არსებობისას, შესრულდება ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი მოთხოვნა . პრივილეგირებული მოთხოვნების განლაგება მოცემულია გაკოტრების ტაბულაში, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მათი დაკმაყოფილების რიგითობასაც. ეს თანამიმდევრობა გამოიხატება შემდეგში:[22]

1-ლი რიგი: გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის ხელფასისა და ხელფასის განაკვეთების მოთხოვნები.

მე-2 რიგი: საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები.

მე-3 რიგი: არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, ბანკების მოთხოვნები ინვესტირებული ფულადი კრედიტების დასაბრუნებლად და საქონლის მიმწოდებლის მოთხოვნები საწარმოს მიმართ.

მე-4 რიგი: სოციალური დაზღვევის ორგანოს, საპენსიო და სამედიცინო ფონდების, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის მოთხოვნები.[23]

მე-5 რიგი: სხვა მოთხოვნები. ამ რიგში განთავსებული მოთხოვნები წარმოადგენენ არაპრივილეგირებულ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებში შედიოდა სასესხო, იჯარის, დავალების, და სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ასევე - მუშაკები წარმოების გახსნამდე სამ თვეზე მეტი ხელფასის მოთხოვნით.[24]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი აღიარებს კრედიტორთა დაყოფას პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კრედიტორებად, იმ განსხვავებით, რომ სოციალური ინტერესები მთლიანად იგნორირებულია და წინა პლანზე

---

[21] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 75

[22] მიგრიაული რ. სტატია „გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე”, ჟურნალი „ალმანახი“, 1998, გვ 39

[23] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 18.1

[24] მიგრიაული რ. „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, პირველი გამოცემა, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ 2011, გვ 38

წამოწეულია სახელმწიფო ხაზინის ინტერესები. დაწვრილებით ამ საკითზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

2.1 კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები

გაკოტრების/გადახდისუუნარობის კრედიტორების გარდა, ვალაუვალობის წარმოებაში შეიძლება სხვა სახის კრედიტორებიც მონაწილეობდნენ, რომლებთანც განსაკუთრებული მოთხოვნები გააჩნიათ. გაკოტრების კანონის მიხედვით, გაკოტრების წარმოებაში, თავიანთი განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე, განსხვავებული მოთხოვნების მქონე კრედიტორები სამ სხვადასხვა სახედ იყოფოდნენ: საკუთრების, უზრუნველყოფის და მასის კრედიტორებად.

განვიხილოთ თითოეული განსხვავებული კრედიტორი ცალ-ცალკე.

2.2.1 საკუთრების კრედიტორი

ა) ცნება

გაკოტრების 1996წ. კანონით განსაზღვრული იყო ვალაუვალი მოვალის იმ ქონების შემადგენლობა, რომელიც უნდა წარმართულიყო გაკოტრების კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ამ ქონებას გაკოტრების მასა ეწოდებოდა. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას ვალაუვალ მოვალეს თავისი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება ჩამოერთმეოდა და იგი გაკოტრების მართველს გადაეცემოდა, ამ ღონისძიებას გაკოტრების სამართალი საგაკოტრებო ყადაღას უწოდებდა. საგაკოტრებო ყადაღა ვრცელდებოდა ვალაუვალი მოვალის კუთვნილ ქონებაზე. მაშასადამე, გაკოტრების მასა თავისი იდიალური შემადგენლობით წარმოადგენდა იმ ქონებრივი საგნების ერთობლიობას, რომელიც სამართლებრივად მოვალეს ეკუთვნოდა. თავის მხრივ, გაკოტრების მასაში გამოიყოფოდა ე.წ. „ფაქტობრივი მასა“, ანუ ქონების საგნების ის ერთობლიობა, რომელიც წარმოების გახსნისთანავე ეუფლებოდა გაკოტრების მართველი, თუმცა არც ის იყო გამორიცხული, რომ მოვალის ქონების დაუფლებისას ფაქტობრივ მასაში მოხვედრილიყო ისეთი საგნები, რომლებიც

სამართლებრივად მოვალეს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მესამე პირის საკუთრებას წარმოადგენდეს. გაკოტრების მასაში სხვისი ნივთები შეიძლება სხვადასხვა კერძო-სამართლებრივი გარიგების შედეგად აღმოჩენილიყვნენ. მაგალითად, გაკოტრების წარმოების გახსნამდე მოვალეს დროებით სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული საცხოვრებელი ბინა, შესანახად ჰქონდა მიბარებული ანტიკვარული ავეჯი, ნათხოვარი ჰქონდა ავტომანქანა და სხვა.გაკოტრების მასაში შესაძლოა მოხვედრილიყო როგორც მოძრავი ისე უძრავი ნივთბი, აგრეთვე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, კერძოდ უფლებები და მოთხოვნები.[25]

საკუთრების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გაკოტრების სამართალი ქონებაზე უფლებამოსილ პირს „საკუთრების უფლების მქონე მესამე პირს“ უწოდებდა, შემოკლებით მას საკუთრების კრედიტორიც შეიძლება ეწოდოს. საკუთრების კრედიტორის სამართლებრივ მოწესრიგებას გაკოტრების კანონი განცალკავებულად ეხებოდა. საკუთრების კრედიტორს შეეძლო განეცხადებინა თავისი მოთხოვნა გაკოტრების მართველის მიმართ და მოეთხოვა მისგან თავისი კუთვნილი ნივთის მასიდან გამოცალკავება და რაც მთავარია, მისთვის უკან დაბრუნება. ეს ნიშნავს, რომ გამოცალკავების მოთხოვნა განყენებულად არ არსებობდა, იგი მოიაზრებოდა ნივთის დაბრუნების მოთხოვნასთან ერთად.[26]

გადახდისუუნარობის კანონი არ აწესრიგებს საკუთრების კრედიტორთად დაკავშირებულ საკითხებს, მიუხედავად ამისა იგი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ გადახდისუუნარობის მასაში სხვისი ქონება შეიძლება მაინც მოხვდეს, ასეთ შემთხვევაში ნივთზე უფლებამოსილმა პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს თავისი მოთხოვნები. ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით.[27]

გაკოტრების კანონის მიხედვით, დაუშვებელი იყო გაკოტრების მასაში მოხვედრილი სხვისი ქონების რეალიზაცია, ხოლო ასეთის შემთხვევაში ხდებოდა ამონაგების განაწილება გაკოტრების კრედიტორებს შორის. სხვისი ქონება გაკოტრების მართველს უკან უნდა დაებრუნებინა უფლებამოსილი პირისათვის . თუ გაკოტრების მართველი უარს განაცხადებდა ქონების დაბრუნებაზე, საკუთრების კრედიტორს შეეძლო სასარჩლო განცხადების შეტანის გზით განეხორციელებინა თავისი უფლება, ანუ დაებრუნებინა საკუთარი ნივთი უკანონო მფლობელობიდან ან მიეღწია თავისი უფლების აღიარებისთვის.

---

[25] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 86

[26] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 159

[27] საქართველოს კანონი გადახდისუუნაარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 21.2 „ბ“

გადახდისუუნარობის კანონი ვინაიდან არ არეგულირებს საკუთრების კრედიტორის სამართლებრივ საკითხებს, არაა გამორიცხული, რომ სხვისი საკუთრება, რომელიც მოვალეს დროებით მფლობელობაში ჰქონდა, მოხვდეს გადახდისუუნარობის მასაში და გაიყიდოს აუქციონზე. რაც ჩემი აზრით არ არის სამართლიანი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქონების მფლობელს აქვს მოთხოვნის უფლება, ვთვლი რომ ძველი კანონმდებლობა ამ საკითხს უკეთესად არეგულირებდა. ნივთის მფლობელი ამ შემთვევაში უფრო დაზღვეული იყო, ვიდრე დღევანდელი კანონის მიხედვით.

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა

თავისი სამართლებრივი სტატუსით, საკუთრების კრედიტორი არ წარმოადგენდა გაკოტრების/გადახდისუუნარობის კრედიტორს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების კრედიტორის მოთხოვნაც გაკოტრების/გადახდისუუნარობის წარმოების გახსნამდე წარმოიშვა, თავისი მოთხოვნის შინაარსიდან და მისი დაკმაყოფლების უპირატესობიდან გამომდინარე, იგი მაინც განსხვავდება გაკოტრების კრედიტორისგან.[28]

გაკოტრების კრედიტორისაგან განსხვავებით, რომლის მოთხოვნაც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს ეფუძვნება, საკუთრების კრედიტორის მოთხოვნა სანივთო-სამართლებრივი ხასიათისაა. გარდა ამისა, გაკოტრების კრედიტორის მოთხოვნა განაწილების წარმოებაში დაკმაყოფილდება. განაწილების წარმოება კი გაკოტრების წარმოების დამამთავრებელ ეტაპზე შედგება. ხოლო რაც შეეხება საკუთრების კრედიტორის საკუთრებას, თუკი იგი სადაოდ არ იქება მიჩნეული, იგი მანამდე უნდა იქნას გამოცალკავებული გაკოტრების მასიდან, ვიდრე მოხდება ამ ქონების რეალიზაცია. პროცედურულად საკუთრების კრედიტორის მოთხოვნა უფრო ადრე დაკმაყოფილდება, ვიდრე გაკოტრების კრედიტორისა.[29]

[28] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 88
[29] იქვე, გვ. 88

გ) გამოცალკავება

გაკოტრების კანონით, სხვისი ნივთის მასიდან გამოცალკავების მთელ წარმოებას გაკოტრების მართველი წარმართავდა, მას დამოუკიდებლად უნდა შეემოწმებინა გაკოტრების მასაში შემავალი საგნების გამოცალკავებაუნარიანობა და მიეღო მათი აღიარების ან უარყოფის გადაწყვეტილება. კრედიტორთა თანხმობის მიღება მისთვის სავალდებულო იყო, თუკი რომელიმე ნივთის გამოცალკავებას შეეძლო დიდი გავლენა მოეხდინა გაკოტრების მასის მდგომარეობაზე. კრედიტორთა კომიტეტის თანხმობა იყო ასევე საჭირო, მაგალითად, განსაკუთრებული ღირებულების მქონე ნივთის გამოცალკავებისას. ასეთ დროს კრედიტორებს თანხმობა უნდა მიექციათ, რომ არ მომხდარიყო ასეთი ნივთის უკანონოდ გადაცემა არაუფლებამოსილი პირისთვის. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა თანხმობის გარეშე გამოაცალკავებდა ნივთს, მას კრედიტორის წინაშე ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებოდა.[30]

ის ფაქტი, რომ თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა თანხმობის გარეშე გამოაცალკავებდა ნივთს, მას კრედიტორის წინაშე ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებოდა უფრო ავალდებულებს მმართველს ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოექცეს საკუთრებას, რომელიც გადახდისუუნარობის მასის შემადგენლობაში არ შედის. ვთვლი, რომ უკეთესი იქნებოდა საკუთრების კრედიტორის არსებობა დღევანდელ კანონშიც.

2.2.2 უზრუნველყოფილი კრედიტორი

ა) ცნება

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნე, გამოცალკავებაზე უფლებამოსილი პირი (საკუთრების კრედიტორი) გაკოტრების წარმოებაში სადაოს ხდის მასაში მოხვედრილი ნივთის მასისადმი კუთვნილებას და ითხოვს ნივთის

[30] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 163

გამოცალკავებას და მისთვის დაბრუნებას. საკუთრების კრედიტორის საპირისპიროდ, გაკოტრების წარმოებაში არის აგრეთვე კრედიტორი, რომელიც თავის მოთხოვნას მიმართავს არა მასიდან ნივთის გამოცალკავებაზე, არამედ აღიარებს ნივთის მასისადმი კუთვნილებას, თუმცა ითხოვს ამ ნივთიდან უპირატეს დაკმაყოფილებას.[31]

ვალაუვალი მოვალის ქონებაზე უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას აღნიშნული კრედიტორი მოიპოვებს იმით, რომ იგი თავის მოთხოვნას უზრუნველყოფს მოვალის ქონებით, რაც მიიღწევა აღნიშნულ ქონებაზე გირავნობის ან იპოთეკის დადგენით. შესაბამისად, კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია მოვალის ქონებით და რომელსაც შეუძლია უპირატესად დაიკმაყოფილოს იგი, უზრუნველყოფილი კრედიტორი ეწოდება.[32]

1996 წლის კანონით უზრუნველყოფილი კრედიტორი „გირავნობის უფლების მქონე მესამე პირად" არის მოხსენებული. მის დასახასიათებლად არსებითია, რომ მას ვალაუვალი მოვალის საგანი უნდა ეკუთვნოდეს უზრუნველყოფის მიზნით ან იგი გირავნობით უნდა იყოს დატვირთული. გაკოტრების ქართული სამართალი უზრუნველყოფილ კრედიტორს უწოდებს იმ პირს, რომლის მოთხოვნაც გაკოტრების წარმოეაში უზრუნველყოფილია ვალაუვალი მოვალის ქონებებით. ინზოლვენციის გერმანულ სამართალთან თუ შევადარებთ, ქართული გაკოტრების სამართლის ეს სუბიექტი უთანაბრდება განცალკავებულად დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილ პირს.[33]

საკუთრების კრედიტორისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ითხოვს გირავნობით (იპოთეკით) დატვირთული ქონების მასიდან გამოცალკავებას და მისთვის გადაცემას. მისი მოთხოვნა მიმართულია იქითკენ, რომ იგი დაკმაყოფილდეს განცალკავებულად სწორედ დატვირთული ქონებიდან, ამიტომ უზრუნველყოფილ კრედიტორს, სხვა გვარად, შეიძლება განცალკავებულად დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილი პირი ეწოდოს, ხოლო მის მოთხოვნას - განცალკავებულად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნა.[34]

განცალკევებულად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნა გაკოტრების წარმოების გახსნამდე უნდა იყოს წარმოშობილი. მაშასადამე, მოვალის ნივთი უკვე დატვირთული უნდა იყოს გირაოთი ან იპოთეკით, ვიდრე სასამართლო გახსნიდეს მის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოებას. თუ კი წარმოების მიმდინარეობისას გაკოტრების მართველი მოახდენს კრედიტორის მოთხოვნის

---

[31] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში", მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 90

[32] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში", მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 90

[33] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ", ბრემენი 2008, გვ 47

[34] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში", მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა", თბ. 2017, გვ 167

უზრუნველყოფას, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა განვიხილოთ როგორც მასის მოთხოვნა.[35]

უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებები იმითაა გარანტირებული სხვა კრედიტორებთან, მათ შორის გაკოტრებისა და საკუთრების კრედიტორებთან შედარებით, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილია დატვირთული ქონებით, რომლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით იგი უპირატესად დაკმაყოფილდება. ამასთან, რაც მთავარია და გაკოტრების წარმოებისთვის მნიშვნელოვანია, დატვირთული ქონება ყოველთვის სახეზეა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დახვდეს კრედიტორს იგი რეალიზებული.[36]

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა

უზრუნველყოფილი კრედიტორიც, საკუთრების კრედიტორის მსგავსად, არ წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორს. ჯერ ერთი, გაკოტრების კრედიტორის მოთხოვნა არ ეფუძვნება სანივთო სამართლებრივ მოთხოვნას, მეორეც, უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკავებული დაკმაყოფილება გაკოტრების წარმოებისგან დამოუკიდებლად ხდება, ანუ გაკოტრების მმართველი მანამდე ახდენს დატვირთული ქონების რეალიზაციას და ამონაგებით უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკავებულად დაკმაყოფილებას, ვიდრე იგი შეუდგებოდეს დანარჩენი ქონების რეალიზაციის ამონაგებიდან გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილებას.[37]

უზრუნველყოფილი კრედიტორის მიმართ ვრცელდება მოთხოვნათა წარდგენის ვადა, რაც დადგენილია გაკოტრების კრედიტორებისათვის. (ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალე ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, დაევალება მოთხოვნათა წაყენების ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ)[38], უზრუნველყოფილი კრედიტორი ვალდებულია თავისი მოთხოვნიდან გამომდინარე უფლების შესახებ წარადგინოს გაკოტრების მმართველთნ. თუკი უზრუნველყოფილი კრედიტორის თავისუფლებას ამ ვადაში არ განაცხადებს, მაშინ გაკოტრების მმართველს შეუძლია რეალიზება უყოს დატვირთულ ნივთს და ამონაგები სრულად მოახდინოს გაკოტრების წარმოების ხარჯებსა და

[35] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 91

[36] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ“, ბრემენი 2008, გვ 49

[37] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 91

[38] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 11.1 „დ“

გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილებას. უზრუნველყოფილი კრედიტორი უპირატეს მდგომარეობაშია სხვა კრედიტორებთან, მათ შორის გაკოტრებისა და მასის კრედიტორებთან შედარებით. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილია დატვირთული ქონებით, რომლის რეალიზაციიდან ამონაგები ქონებით იგი უპირატესად დაკმაყოფილდება.[39]

გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით მოვალის ნებისმიერი ქონების რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. გაკოტრების მმართველს ჩამოერთვა ახალი კანონით მისი უფლებამოსილებები და თითქმის მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, რასაც არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ მმართველის ჩაბმა საქმის წარმოებაში უფრო ეფექტური იქნება ვიდრე მის გარეშე საქმის წარმოება, ვინაიდან მმათველი ჩახედულია ყველა სამართლებრივ მდგომარეობაში, ასე, რომ ვთქვათ იცის საქმის წარმოების შიდა სამზარეულო.

უზრუნველყოფილი კრედიტორი უპირატეს მდგომარეობაშია სხვა კრედიტორებთან, მათ შორის გაკოტრებისა და მასის კრედიტორებთან შედარებით. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილია დატვირთული ქონებით, რომლის რეალიზაციიდან ამონაგები ქონებით იგი უპირატესად დაკმაყოფილდება.

გ)უზრუნველყოფილი საგანი

1996წლის კანონი პირდაპირ არ აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. იგი საუბრობს ისეთ საგანზე, რომელიც მესამე პირს ეკუთვნის უზრუნველყოფის მიზნით ან რომელიც გირავნობის უფლებით არის დატვირთული. ამ შემთვევაში, რა თქმა უნდა, მოძრავი ნივთი მოიაზრება. უძრავი ნივთის გაგება ჩართულია სიტყვათა წყობაში „უზრუნველყოფის მიზნით მიკუთვნებული ქონება“. „უზრუნველყოფის მიზნით ქონების მიკუთვნება“ არ უნდა გავიგოთ, როგორც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა, არამედ მესამე პირისათვის უზრუნველყოფილი უფლების მინიჭება, ანუ მისთვის ასეთი უფლების „მიკუთვნება“.[40]

---

[39] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 92

[40] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ“, ბრემენი 2008, გვ 49

მართალია, 1996 წლის კანონმა პირდაპირ არ მიუთითა უძრავ და მოძრავ ქონებაზე, როგორც უზრუნველყოფილ საგნებზე, რითაც მან მეტი ასპექტი დატოვა მეცნიერული კვლევებისათვის და თეორიული მსჯელობებისათვის, სამაგიეროდ 2007წ. კანონი ტერმინთა რეესტრში ცალკე ახასიათებს ქონებას, რომელიც „მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არის მიღებული". ხოლო ასეთი ქონება დახასიათებულია როგორც ა) იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ქონება, ბ) სასამართლოს მიერ დაყადაღებული ქონება და აგრეთვე გ) საგადასახადო კოდექსის საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფით მიღებული ქონება. რპგპრც ვხედავთ 2007 წლის კანონმა გააფართოვა უზრუნველყოფილი საგნების წრე და ასეთად აგრეთვე სასამართლოს მიერ დაყადაღებული ქონებაც მიიჩნია.[41]

დ) დატვირთული ნივთის რეალიზაცია

გაკოტრების სამართლის თანახმად, დატვირთული ნივთის რეალიზაციას ახდენს გაკოტრების მმართველი, თუ კი ამის უფლება არ გადაეცა უზრუნველყოფილ კრედიტორს. დატვირთული ნივთის გაყიდვის წესი კანონით არ არის დადგენილი, ამდენად გაკოტრების მართველი არ იყო გაყიდვების ფორმებით შეზღუდული: მას შეეძლო დათვირთული ნივთი გაეტანა აუქციონზე, გაყიდოს საკონკურსო პირობებით ან გაყიდოს თავისი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი ფორმების გარეშე. თავის მხრივ ნივთის თავისუფლად გაყიდვას ხშირ შემთხვევაში გარკვეული უპირატესობა აქვს საუქციონო გაყიდვასთან შედარებით, ვინაიდან იგი შედარებით ნაკლებ ხარჯიანია და ხელს უწყობს ნივთის უფრო სწრაფ და მომგებიან რეალიზაციას.[42]

გაკოტრების 1996წ. კანონით გაკოტრების მმართველი არ იყო შეზღუდული, თავისუფლად, ანუ აუქციონის გარეშე გაეყიდა უძრავი ნივთი. გაკოტრების მმართველზე არ ვრცელდებოდა აგრეთვე ის სამოქალაქო - სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც ადგენდა დატვირთული უძრავი ნივთის მხოლოდ აუქციონზე რეალიზაციას. გაკოტრების მმართველს შეეძლო უარი ეთქვა რეალიზაციის ამ ფორმის გამოყენებაზე. ხოლო თუ იგი აუქციონის მეშვეობით გადაწყვიტავდა იპოთეკა დადებული ნივთის გაყიდვას , მაშინ აღარ წარმოიშობოდა სასამართლოს მიერ სპეციალური ექსპერტის დანიშვნის

---

[41] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ", ბრემენი 2008, გვ 50

[42] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში", მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა", თბ. 2017, გვ 170

საჭიროება. ექსპერტის ფუნქციებს შეასრულებდა თავად გაკოტრების მმართველი, რომელიც ასევე სასამართლოს მიერ იყო დანიშნული.[43]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი იცნობს ქონების რეალიზაციის მხოლოდ ერთ წესს - აუქციონზე გაყიდვას, რომელსაც ანხორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. ეს წესიც არ არის ჩემთვის მისაღები, ნივთის აუქციონის გარეშე გაყიდვას უპირატესობა აქვს საუქციონო წესის გაყიდვასთან შედარებით, იგი ნაკლებხარჯიანია და ხელს უწყობს ნივთის უფრო სწრაფად და მომგებიანად გაყიდვას. გაკოტრების მმართველის მიზანიც ის იყო რომ ქონების რეალიზაციით რაც შეიძლება მეტი ამონაგები მიეღო, დაეზოგა დრო და ხარჯები. აქედან გამომდინარე 1996 წლის კანონი ამ საკითს უკეთესად არეგულირებდა.

ე) უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება

უზრუნველყოფილი კრედიტორი დაკმაყოფილება ხდება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით. გაკოტრების 1996 წლის კანონის მიხედვით, ნივთის გაყიდვიდან მიღებული ამონაგებით, თუ იგი საკმარისია, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოდილება ხდება არაუმეტეს ¾-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა (¼), რომელსაც კანონი „პროცესის შენატანად“ მოიხსენიებს, წარმიმართება რეალიზაციისა და გაკოტრების წარმოების ხარჯების დასაფარავად.[44]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით თუ კი აუქციონზე გაყიდული დატვირთული საგნის ამონაგები უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე მეტია, იგი დაკმაყოფილდება სრულად, თავისი მოთხოვნის მოცულობით, ხოლო ნაშთი წარიმართება დანარჩენ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ხოლო თუ კი აუქციონზე გაყიდული დატვირთული საგნის ამონაგები უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია, მაშინ უზრუნველყოფილი კრედიტორი დაკმაყოფილდება მხოლოდ ამონაგები თანხით, ხოლო დარჩენილი ვალი ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნად.[45]

---

[43] იქვე, გვ. 171

[44] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ“, ბრემენი 2008, გვ 51

[45] იქვე, გვ. 52

ამგვარი დაკმაყოფილების წესი, მიმაჩნია სამართლიანად, თუ ამონაგები მეტია უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე, ამ ამონაგრბით რაც მთავარია, კმაყოფილდება კრედიტორი თავისი მოთხოვნის მოცულობით, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდება იმ კრედიტორთა რიცხვს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვერც დაკმაყოფილებულიყო.

3) მიმართება საკუთრების კრედიტორთან

როგორც საკუთრების, ისე უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა წარმოიქმნება სანივთო - სამართლებრივი ურთიერთობებიდან. პირველი ეფუძვნება საკუთრების შინაარს, ხოლო მეორე - საკუთრებას, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. ორივე ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ხდება გაკოტრების მასის შემცირება, ვინაიდან გაკოტრების მასა აკლდება განსაზღვრული ქონებრივი ღირებულებები. უზრუნველყოფილი მოთხოვნა, საკუთრების მოთხოვნის მსგავსად, განაწილების წარმოებამდე დაკმაყოფილდება, ანუ მასის გასანაწილებელ წარმოებაში, სადაც მხოლოდ გაკოტრების კრედიტორები მონაწილეობენ, უზრუნველყოფილ კრედიტორსაც არაფერი ესაქმება.[46]

მიუხედავად აღნიშნული მსგავსებებისა, უზრუნველყოფილ კრედიტორსა და საკუთრების კრედიტორს შორის მთელი რიგი განსხვავებებია, კერძოდ:

1) უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა მიმართულია დატვირთული ნივთის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისაკენ, მაშინ როცა საკუთრების კრედიტორის მოთხოვნა ნივთის დაბრუნებას ან უფლების დადგენას მოიცავს.

2) საკუთრების კრედიტორის მოთხოვნა ეფუძვნება მოსაზრებას, რომ მასში მოხვედრილი ნივთი არ წარმოადგენს ვალაუვალი მოვალის საკუთრებას. რაც შეეხება უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნას, იგი ამ დროს ეჭვის ქვეშ არ აყენებს დატვირთული ნივთის მასისადმი კუთვნილებას.

3) განსხვავება გამოიხატება აგრეთვე მოთხოვნების დაკმაყოფილების მოცულობაში. თუ საკუთრების კრედიტორი სრულად დაკმაყოფილდება, ანუ იგი მასიდან მთლიანად ამოიღებს კუთვნილ

[46] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 174

ნივთს, სამაგიეროდ, უზრუნველყოფილი კრედიტორი მხოლოდ ¾ -ის ფარგლებში კმაყოფილდება.[47]

2.1.3 მასის კრედიტორი

ა) ცნება

გაკოტრების მმართველის მიერ გაკოტრების მასის მართვისას წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ მან განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებები და დადოს მასისათვის მნიშვნელოვანი გარიგებები. მასის მართვის უფლებამოსილების განხორციელებისას გაკოტრების მართველი ამყარებს ვალდებულებით-სამართლებრივ, აგრეთვე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს სხვადასხვა პირთან. მმართველის მიერ დადებული გარიგებებით ხელშეკრულების კონტრაჰენტებთან წარმოიშვება შესრულების, ანუ გარკვეული გასამრჯელოსა თუ ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. ეს ვალდებულება გაკოტრების მმათველმა უნდა შეასრულოს, ხოლო შესრულება კი გაკოტრების მასიდან სრული მოცულობით განხორციელდეს. შესრულების მიღებამდე კონტრაჰენტები, ანუ შესრულების მიღებაზე უფლებაოსილი პირები მასის კრედიტორებს წარმოადგენენ.[48]

გაკოტრების ქართული სამართალი არ იცნობს ტერმინს „მასის კრედიტორი“ იგი გადმოღებულია გაკოტრების გერმანული სამართლიდან. გაკოტრების ქართული სამართალი არ იძლევა აგრეთვე მასის გაკოტრების დეფინიციას და, სავარაუდოა, რომ მისი განსაზღვრა ისევ ლიტერატურას, მეცნიერებასა და პრაქტიკას მიენდოს. სახელწოდებიდან გამომდინარე, საინტერესოა თუ რა დამოკიდებულება აქვს გაკოტრების მასასთან მასის კრედიტორის მოთხოვნას. თავისთავად წარმოიშება საკითხი, ხომ არ აქვს მასის კრედიტორს რაიმე უპირატესობა გაკოტრების მასიდან დაკმაყოფილების თვალსაზრისით. მით უმეტეს, გათვალისწინებულია ისიც, რომ გაკოტრების წარმოებაში მონაწილე სხვა კრედიტორთა მოთხოვნებიც,

---

[47] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 96

[48] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 96

საბოლოო ჯამში, გაკოტრების მასიდან კმაყოფილდება, მაგრამ მათ „მასის კრედიტორებად“ არ მოიხსენიებენ.[49]

სახელწოდებიდან გამომდინარე, საინტერესოა, თუ გაკოტრების მასასთან რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა მასის კრედიტორის მოთხოვნას. მოვახდინოთ შედარება, გაკოტრების კრედიტორი კმაყოფილდებოდა გაკოტრების მასის ამონაგებიდან, უზრუნველყოფილი კრედიტორი - გაკოტრების მასაში არსებული დატვირთული ნივთის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან, ხოლო საკუთრების კრედიტორის დაკმაყოფილება იმაში გამოიხატებოდა, რომ მისი ნივთი გამოცალკავდებოდა გაკოტრების მასიდან და მას უბრუნდებოდა. ზემოთ ჩამოთვლილი კრედიტორებიდან არც ერთი მათგანის მოთხოვნა არ არის უშუალოდ გაკოტრების მასისკენ მიმართული. გაკოტრების კრედიტორს ქონებრივი პრეტენზია ვალაუვალი მოვალისადმი გააჩნია, ხოლო უზრუნველყოფილი და საკუთრების კრედიტორები კი სანივთო - სამართლებრივ უფლებებს ახორციელებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გაკოტრების, საკუთრებისა და უზრუნველყოფილ კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნები მანამდე წარმოეშობოდათ, ვიდრე გაკოტრების მასა ჩამოყალიბდებოდა.[50]

საკუთრებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორებისაგან განსხვავებით, მასის კრედიტორისათვის დამახასიათბელია ის, რომ მისი მოთხოვნა მიმართულია უშუალოდ გაკოტრების მასისაკენ. ეს აისახება იმით, რომ მასის მოთხოვნა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც შეიქმნება გაკოტრების მასა. მასის კრედიტორის მოთხოვნა სწორედ ამ ჩამოყალიბებული მასისაკენ მიიმართება. აქედან გამომდინარე, მასის კრედიტორის მოთხოვნას, მასის მოთხოვნას უწოდებენ.

მასის კრედიტორად პირი შიძლება მოგვევლინოს აგრეთვე თავისი სამართლებრივი მდგომარეობით, მაგალითდ, მოვალის ოჯახის წევრი ან პირი, რომელიც მოვალის კმაყოფაზე იმყოფება. აღნიშნულმა პირებმა გაკოტრების მასიდან უნდა მიიღონ მინიმალურად აუცილებელი შესანახი თანხა. მასის მიმართ მოთხოვნა მათ წარმოეშობათ სწორედ ამ თანხის მიღებასთან დაკავშირებით. პირი მასის კრედიტორად შეიძლება იქცეს აგრეთვე, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით. ასეთ პირს, გაკოტრების წარმოებაში დაკავებული განსაზღვრული თანამდებობიდან გამომდინარე, წარმოეშობა გასამსჯელოს მიღების მოთხოვნა. მასის კრედიტორს წარმოადგენს, აგრეთვე, სახელმწიფო ხაზინა იმ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოეშობა მას გაკოტრების წარმოების მიმდინარეობისას. [51]

---

[49] იქვე, გვ.97

[50] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 177

[51] იქვე, გვ. 179

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი არ აღიარებს ცნებას „მასის კრედიტორი“, თუმცა აღიარებს კრედიტორებს, რომლებიც ჩნდებიან გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, ასეთ კრედიტორებს კანონი „ახალ კრედიტორებს“ უწოდებს. ახალი კრედიტორების სამართლებრივი წარმოშობის წინაპირობებიც იგივეა, რაც გაკოტრების კანონით იყო დადგენილი, კერძოდ, ადგილი უნდა ჰქონდეს ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში, მოვალის ქონების მართვასთან დაკავშირებულ ქმედებებს: ახალი გარიგებების დადებას, არსებული გარიგებების დასრულებას, მუშაკების დაქირავებას, და სხვა.[52]

ძველ კანონსა და ახალ კანონს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდგომში, გაკოტრების კანონით, გაკოტრების მმართველი მასის კრედიტორად ითვლებოდა, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხოლო ახალი კანონი გაკოტრების მმართველს - ახალ კრედიტორად არ იხსენიებს. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ახალი კაონით გაკოტრების მმართველს ბევრი უფლებამოსილება ჩამოერთვა.

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა

მასის კრედიტორი არ უნდა განვიხილოთ გაკოტრების კრედიტორად, გაკოტრების კრედიტორისაგან განსხვავებით, რომლის მოთხოვნა გაკოტრების წარმოების გახსნამდე წარმოიშობა, მასის კრედიტორის მოთხოვნა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ უკვე მიმდინარე გაკოტრების წარმოებაში, გარდა ამისა, გაკოტრების მოთხოვნა მიმართულია მოვალის ქონების მიმართ, რომელიც ჯერ არ არის მოცული საგაკოტრებო ყადაღით, ხოლო მასის მოთხოვნა მიმართულია უკვე ფორმირებული გაკოტრების მასის მიმართ. მასის კრედიტორი ყველაზე პრივილეგირებული კრედიტორია გაკოტრების წარმოებაში, ვიდრე თვით გაკოტრების პრივილეგირებული კრედიტორი. მასის კრედიტორის პრივილეგირებულება იმაში გამოიხატება, რომ მისი მოთხოვნა უფრო ადრე დაკმაყოფილდება, ვიდრე გაკოტრების კრედიტორისა. ამ უკანასკნელის მოთხოვნა გაკოტრების წარმოების უკანასკნელ სტადიაზე-განაწილების წარმოებაში კმაყოფილდება, ხოლო მასის კრედიტორი არ წარმოადგენს განაწილების წარმოების მონაწილეს, ვინაიდან იგი განაწილების წაარმოებამდე კმაყოფილდება. გაკოტრების წარმოებაში მასის კრედიტორი უზრუნველყოფილ კრედიტორთა რიცხვს მიეკუთვნება. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მისი სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, მასის

[52] იქვე, გვ.179

კრეიტორის უზრუნველყოფა განპირობებულია სწორედ მისი მოთხოვნის ადრეული და სრული დაკმაყოფილებით.[53]

გადახდისუუნარობის კანონით, არ მოწმდება ახალი კრედიტორის მოთხოვნები, მასზე ასევე არ ვრცელდება, მოთხოვნების წაყენების ვადა, ვინაიდან მისი მოთხოვნა წარმოიშობა წარმოების გახსნის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ანუ იგი ჩდება მოთხოვნის წაყენების შემდეგ. ხოლო მოთხოვნის წაყენების ვადა დგინდება სწორედ წარმოების გახსნის განჩინებით. გარდა ამისა, გაკოტრების/გადახდისუუნარობის მოთხოვნა მიმართულია მოვალის ქონების მიმართ, ხოლო მასის მოთხოვნა მიმართულია უკვე ფორმირებული გაკოტრების მასის მიმართ.

გ) მასის ხარჯები და მასის ვალდებულებები

მასის კრედიტორს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გაკოტრების მასიდან განსაზღვრულ თანხებს უხდიან. გაკოტრების მასიდან გაღებულ ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია, მასის მართვასა, რეალიზაციასა და განაწილებასთან, გაკოტრების სამართალში მასის ხარჯებს უწოდებენ. მასის ხარჯებს, სხვაგვარად, გაკოტრების წარმოების ხარჯებიც შეიძლება ეწოდოს. აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია გაკოტრების წარმოებისას წარმოშობილი სახელმწიფო გადასახადები. გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, მოვალის საწარმოს გაგრძელების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი გადასახადები, როგორიცაა მოგების, დღგ-ის, ქონების, სოციალური და სხვა გადასახადები. მასის ხარკებს მიეკუთვნება აგრეთვე სასამართლო ხარჯები, მათ შორის სახელმწიფო ბაჟი და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, მასის ხარჯებია ასევე გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის წევრთა გასამრჯელო. გაკოტრების ქართული სამართალი მასის ხარჯებს მიაკუთვნებს აგრეთვე ვალაუვალი მოვალის ოჯახის წევრებსა და მის კმაყოფაზე მყოფ პირებზე გასაცემ შესანახ თანხას.[54]

[53] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 100

[54] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 101

დ) დაკმაყოფილება

მასის კრედიტორიც საკუთრების კრედიტორის მსგავსად სრულად დაკმაყოფილდება მასიდან. ამით იგი უპირისპირდება გაკოტრების კრედიტორს, რომელიც მასის სიმცირის შემთხვევაში იღებს ან თავისი მოთხოვნის არასრულ წილს დადგენილი ქვოტის ფარგლებში, ანდა არაპრივილეგირებულობის გამო საერთოდ ვერ კმაყოფილდება. მასის კრედიტორის მოთხოვნა. მასის კრედიტორი გაკოტრების წარმოებაში ყველაზე პრივილეგირებული კრედიტორია. თუმცა, მასის მოთხოვნის პრივილეგირებას არაფერი აქვს საერთო გაკოტრების ტაბულაში განთავსებულ პრვილეგირებულ კრედიტორებთან. გაკოტრების ტაბულაში, როგორც ცნობილია, განლაგდებიან მხოლოდ გაკოტრების კრედიტორები. ხოლო მასის მოთხოვნის პრივილეგირებაში ის იგულისხმება, რომ იგი უფრო ადრე დაკმაყოფილდება, ვიდრე გაკოტრების ტაბულაში განთავსებული რომელიმე პრივილეგირებული კრედიტორი. მასის მოთხოვნების დაკმაყოფილება თვის მხრივ იწვევს გაკოტრების მასის მოცულობის შემცირებას რაც, საბოლოოდ, გასანაწილებელ მასაზე აისახება, ამიტომ გაკოტრების მმართველი ფრთხილად უნდა მოეკიდოს მასის ვალდებულებების წარმოშობას ან მასის ხარჯების დაუსაბუთებლად გაზრდას.[55]

მასის კრედიტორები დაკმაყოფილდებიან იმ თანმიმდევრობით, რაც მოცემულია გაკოტრების კანონის მე-19 მუხლში. მასის კრედიტორებიდან პირველ რიგში დაკმაყოფილდებიან „ა“ რიგის მოთხოვნები, ანუ ვალაუვალი მოვალის ოჯახის წევრები და მის კმაყოფაზე მყოფი პირების მოთხოვნების სარჩოს მიღებასთან დაკავშირებით. მეორე რიგში დაკმაყოფილდება „ბ“ რიგირ მოთხოვნები, ანუ ყველა ის კრედიტორი, რომელთაც წარმოეშობათ მოთხოვნები გაკოტრების მმართველის მიერ დადებული გარიგებების ან განხორციელებული იურიდიული მოქმედებების შედეგად. სულ ბოლოს კი „გ“ პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილდება, ანუ სასამართლოს ხარჯები, აგრეთვე გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის წევრთა გასამრჯელო. მასის მოთხოვნის დაკმაყოფილება დასაშვებია, თუ არსებობს ამაზე სასამართლოს თანხმობა. მასის კრედიტორებს თანხებს უხდის, ანუ მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებს გაკოტრების მმართველი. შესაბამისად, იგი როგორც მასის ერტ-ერტი კრედიტორი, თვითონვე იკმაყოფილებს თავისი გასამჯელოს მოთხოვასაც.[56]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის თანახმად ახალი კრედიტორის სრულად დაკმაყოფილების შანსი ძალიან დიდია, ვინაიდან იგი განთავსებულია

---

[55] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 103

[56] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 186

მე-2 რიგში, იმ შემთხვევაში თუ მე-2 რიგში რამდენიმე ახალი კრედიტორია, მაშინ ისინი დაკმაყოფილდებიან, თავიანთი მოთხოვნების პროპორციულად. ასეთ დროს ახალი კრედიტორები შეიძლება ვერც დაკმაყოფილდნენ, რაც ვალვაუვალობის სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოა. ამდენად გაუმართლებელია ახალი კრედიტორის განთავსება კრედიტორთა მოთხოვნების ცხრილში, სხვა დანარჩენ კრედიტორებთან ერთად გაკოტრების კანონის მსგავსად, ისინი უნდა იდგნენ მოთხოვნების ცხრილის გარეთ და საერთო განაწილების წარმოებაში არ უნდა მონაწილეობდნენ.[57]

ვეთანხმები ავტორის მოსაზრებას, ვთვლი რომ ახალი კრედიტორი, არ უნდა იყოს განთავსებული მე-2 რიგში, სულ მცირე მე-6 რიგში მაინ უნდა გვხვდებოდეს, სადაც ყველა დანარჩენი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნაა განთავსებული.

[57] იქვე, გვ. 187

თავი III

კრედიტორის სტატუსი გადახდისუუნარობის სამართალში

2007წ. 15 აგვისტოდან საქართველოში ამოქმედდა კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2007წ. 28 მარტს მიიღო. ახალი კანონის ამოქმედებისთანავე ძალა დაკარგა 1996წ. 25 ივნისს მიღებულმა კანონმა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. გადახდისუუნარობის კანონმა საქართველოში სათავე დაუდო სრულიად ახალი განსხვავებული სამართლის - შემოღებასა და განვითარებას. გადახდისუუნარობის სამართლის შემოღებით, ქართული სამართლის სივრციდან გაძევებული იქნა გაკოტრების სამართალი - ერთ-ერთი უძველესი და სამართლის ტრადიციული დარგი, რომელიც სათავეს რომის სამართალში იღებს. ახალი კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.[58]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის 3 „ი“ მუხლის თანახმად, კრედიტორი - პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა).[59]

გადახდისუუნარობის კანონი ასეთ კრედიტორად მიჩნეულ პირს არ უწოდებს არც „გაკოტრების კრედიტორს“ და არც „გადახდისუუნარობის კრედიტორს, არამედ უბრალოდ „კრედიტორს“.[60]

ა) გადახდისუუნარობის კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონიც განიხილავს კრედიტორთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

ა) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყვებიდან 20 დღის განმავლობაში კრედიტორმა

---

[58] მიგირაული რ. სტატია, „გადახდისუუნარობის ახალი კანონის შუქ-ჩრდილები“, გამოქვეყნებულია ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ. გვ.54

[59] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3 „ი“

[60] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 135

მოვალის მიმართ არსებული თავიანთი მოთხოვნები ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარუდგინოს მეურვესა და სასამართლოს.[61]

გაკოტრების 1996 წლის კანონის ეს ნორმა გადმოტანილია გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონში და ითვალისწინებს მსგავს პირობებს.

ბ) ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აჭსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა სამეურვეო ქონებაში მიიმართება.[62]

გაკოტრების წარმოების დროს იძულებითი აღსრულების დაწყებული ღონისძიებები ძალას კარგავდნენ, ხოლო გადახდისუუნარობის წარმოების დროს ისინი შეჩერდება.

გ) გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის მიხედვით გადახდისუუნარობის წარმოებაში ყველა მოთხოვნა აისახება ეროვნულ ვალუტაში.[63]

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი აკონკრეტებს ვალუტას, „ეროვნული“, რაც შეეხება გაკოტრების კანონი ამბობს - „მოთხოვნები წარუდგინოს შესაბამის ვალუტაში“, ვთვლი რომ ვალუტის დაკონკრეტება ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია.

დ) თუ გასანაწილებელი თანხა არ არის საკმარისი ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედდიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.[64]

ანალოგიურ პრინციპს იზიარებდა გაკოტრების კანონიც.

ე) რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები.[65]

რეაბილიტაციის გეგმის მომზადება კრედიტორთა გადაწყვეტილეებით შეიძლება დაევალოს მოვალეს, კრედიტორს, ან რეაბილიტაციის მმართველს ან და რამდენიმე მათგანს ერთდროულად[66]

თანასწორობის პრინციპებიდან ძველი კანონის ერთ პრინციპს არ იზიარებს გადახდისუუნარობის კანონი, კერძოდ (გაწკა, მუხლი 27.2) გაკოტრების კრედიტორებს თანაბრად აეკრძალებოდათ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების

[61] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 29.1
[62] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 21.2 „გ“
[63] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 29.6
[64] იქვე, გვ. მუხლი 40.3
[65] იქვე, გვ. მუხლი 43.2
[66] იქვე, გვ. მუხლი 46.1

წარდგენა ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ მისი სააღსრულებო დაცვის პერიოდში, ანუ 1 წლის განმავლობაში.

ბ) გადახდისუუნარობის პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები

გადახდისუუნარობის კანონი კრედიტორებს ყოფს პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კრედიტორებად, ძველი კანონისგან იმ განსხვავებით, რომ სოციალური ინტერესი მთლიანად იგნორირებულია და უპირატესად სახელმწიფო ხაზინის ინტერესებია წამოწეული, კრედიტორთა მოთხოვნების 7 რიგიდან 5 რიგი, ძირითადად, სახელმწიფოს ინტერესებს ეხმიანება.[67]

1-ლი რიგი: საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური;

მე-2 რიგი: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;

მე-3 რიგი: მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

მე-4 რიგი: ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

მე-5 რიგი: საგადასახადო დავალიანებები;

მე-6 რიგი: ყველა დარჩენილი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;

მე-7 რიგი: დაგვაინებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები;[68]

თავდაპირველად უნდა დაკმაყოფილდეს წინა რიგის მოთხოვნები და ამის შემდეგ დაკმაყოფილდეს შემდეგი რიგირს მოთხოვნები. ერთი რიგირს შიგნით თუ ამონაგები არ არის საკმარისი, მოქმედებს მოთხოვნების თანაბარზმოერად დაკმაყოფილების პრინციპი, რაც გულისხმობს ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას მისი მოცულობის პროპორციულად.

---

[67] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 143

[68] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 40.1

3.1 კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები

3.1.1 საკუთრების კრედიტორი

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი არ აწესრიგებს საკუთრების კრედიტორთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მიუხედავად ამისა იგი გვერდს მაინც ვერ აუვლის იმ გარემოებას, რომ სამეურვეო ქონებაში შეიძლება სხვისი საკუთრებაც მოხვდეს. ასეთ შემთცვევაში, მესაკუთრეზეც ანუ სავარაუდო კრედიტორზეც გავრცელდება გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერ კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები.[69]

გადახდისუუნარობის კანონი რადგანაც არ აწესრიგებს საკუთრების კრედიტორთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს, არაა გამორიცხული, რომ სხვისი საკუთრება მარტივად მოხვდეს აუქციონზე და გაიყიდოს. ასეთ შემთხვევაში საკუთრების კრედიტორმა დროულად უნდა წარადგინოს თავისი სანივთო მოთხოვნა როგორც სასამართლოში, ისე მეურვესთან, შემდგომში უნდა მოითხოვოს თავისი საკუთრების უკან დაბრუნება. თუკი რომელიმე მმართვემა უარი განაცხადა საკუთრების დაბრუნებაზე, საკუთრების კრედიტორმა უნდა აღძრას სამოქალაქო სარჩელი და მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება ან ამ ნივთზე მისი უფლების დადასტურება. აღნიშნული დავა შეიძლება განიხილოს მოვალის გადახდისუუნარობის საქმის განმხილველმა სასამართლომაც.[70]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისევ განვმეორდები და ვიტყვი რომ, არ მიმაჩნია სწორად საკუთრების კრედიტორის კანონიდან ამოღება, ვინაიდან კრედიტორი, რომლის ნივთიც იმყოფება მოვალის მფლობელობაში შეიძლება გაიყიდოს და კრედიტორს მოუწიოს დამატებით სამართლებრივ პროცედურებზე დროის ხარჯვა. კერძოდ, ნივთის გაყიდვის შემთხვევაში, საკუთრების კრედიტორმა, პირველ რიგში, დროულად უნდა წარადგინოს თავისი სანივთო მოთხოვნა როგორც სასამართლოში, ისე - მეურვესთან, შემდგომში უნდა მოითხოვოს თავისი საკუთრების უკან დაბრუნება. თუ რომელიმე მმართველმა უარი განაცხადა საკუთრების დაბრუნებაზე , კრედიტორმა უნდა აღძრას სამოქალაქო სარჩელი და უნდა მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება ან ამ ნივთზე მისი უფლების დადასტურება.

---

[69] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 21.2 „ბ“

[70] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ 159

3.1.2 უზრუნველყოფილი კრედიტორი

ა) უზრუნველყოფილი კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა

2007 წლის კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორად მოიხსენიებს ისეთ კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებით.[71] 2007 წლის კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორად მიიჩნევს აგრეთვე „ახალ კრედიტორს", რომელიც განიმარტება ისეთ კრედიტორად, რომელიც წარმოებაში ჩნდება მას შემდეგ, რაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება განჩინებით წარმოებაში იქნება მიღებული. ახალ კრედიტორად უნდა მივიჩნიოთ მასის კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც, ჩვეულებრივ, გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ წარმოიშობა. აქ გასაგები ხდება 2007წ. კანონის ავტორთა მისწრაფება, რომ წარმოებამდე არსებული და წარმოების შემდეგ წარმოშობილი კრედიტორები ერთი ნიშნით გააერთიანონ, და ეს ნიშანია, რომ მათი მოთხოვნები იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი.[72]

გადახდისუუნარობის 2007წლის კანონი ტერმინთა რეესტრში ცალკე ახალიათებს ქონებას, რომელიც „მოთხოვნის უზრუნველსაყოფად" არის მიღბული. ხოლო ასეთი ქონება დახასიათებულია როგორც იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ქონება, სასამართლოს მიერ დაყადაღბული ქონება და აგრეთვე საგადასახადო კოდექსის საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფით მიღებული ქონება.[73] 2007 წლის კანონი ცალსახად აგენს, რომ მოვალის ნებისმიერი ქონების, მათ შორის დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

ბ)უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება

რაც შეეხება უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკავებულ დაკმაყოფილებას 2007 წლის კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს სხვა

---

[71] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3 „ლ"

[72] მიგრიაული რ. სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გაზსნის შემდეგ", ბრემენი 2008, გვ. 48

[73] იქვე, გვ. 50

კრედიტორებთან ერთად, ერთ-ერთ მონაწილედ წარმოგვიდგენს, ისე რომ, მას კრედიტორთა დაკმაყოფილების ტაბულაში ერთ-ერთ რიგს (მე-4 რიგი) მიუჩენს.[74]

გადახდისუუნარობის კანონი იცნობს დატვირთული ნივთის გაყიდვის მხოლოდ ერთ წესს - აუქციონზე მის რეალიზაციას,[75] აუქციონზე რეალიზაციას ახდენს მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელსაც არჩევისთანავე უნდა მიმართოს გაკოტრების მმართველმა.[76]

როგორც ზემოთ ავღნიშნე, გაკოტრების კანონის თანახმად, დატვირთული ნივთის რეალიზაციას ახდენდა გაკოტრების მმართველი, რაც ჩემი აზრით უფროს სწორი და ეფექტური იყო.

2007 წლის კანონი ადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილების 2 წესს. პირველი წესი შეეხება შემთხვევას, როდესაც მოვალი ქონება იყიდება მთლიანად, მათ შორის უზრუნველყოფილ საგნებთან ერთად. ასეთ დროს ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი დაკმაყოფილდება სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებთან ერთად, შესაბამისი რიგის მიხედვით. მეორე წესს რაც შეეხება, იგი გარკვეულ წილად ემთხვევა გაკოტრების კანონში აღწერილ მოწესრიგებას. მსგავსება შეინიშნება მხოლოდ, კრედიტორის მიერ დატვირთული ნივთის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილებისას. ასეთ დროს კონკრეტული უზრუნველყოფილი კრედიტორი კმაყოფილდება სწორედ ამ დატვირთული ნივთის აუქციონზე რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით. თუმცა გაკოტრების კანონთან გასხვავება იმაშია, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს, თუ კი ამონაგები თანხა მის მოთხოვნაზე მეტი აღმოჩნდება. ხოლო თუ ამონაგები თანხა კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია, მაშინ იგი კმაყოფილდება მხოლოდ რეალიზაციით მიღებული თანხის მოცულობით.[77] ამ შემთხვევაშიც მსგავსება იკვეთება გაკოტრების კანონთან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თუ ამონაგები თანხა მოთხოვნაზე მეტია, დარჩენილი თანხით დაკმაყოფილდება სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა.

---

[74]საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, კანონი, მუხლი 40

[75] იქვე, გვ. მუხლი 38.1

[76] იქვე, გვ. მუხლი 38.5

[77] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 173

3.1.3 ახალი კრედიტორი

ა)ცნება

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი არ აღიარებს ცნებას „მასის კრედიტორი“, კანონი აღიარებს იმ კრედიტორებს, რომლებიც ჩნდებიან გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, ასეთ კრედიტორებს კანონი „ახალ კრედიტორებს“ უწოდებს. გადახდისუუნარობის კანონის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტი, ახალი კრედიტორი - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანის შესახებ წარმოშობილი კრედიტორი. ახალი კრედიტორის წარმოშობისთვის ადგილი უნდა ჰქონდეს , მოვალის ქონების მართვასთან დაკავშირებულ ქმედებებს: ახალი გარიგებების დადებას, არსებული გარიგებების დასრულებას, მუშაკების დაქირავებას, ახალი საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობას და სხვა.[78]

ახალი კრედიტორი ერთ-ერთ პრივილეგირებულ კრედიტორად მიიჩნევა, იგი განთავსებულია კრედიტორთა მოთხოვნის ცხრილის მე-2 რიგში. გაკოტრების კანონით, გაკოტრების მმართველი მასის კრედიტორად ითვლებოდა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის კანონი ახალი კრედიტორად არ მიიჩნევს, მაგალითად, მეურვეს, რომელიც კრედიტორთა მოთხოვნების ცხრილის სათავეშია მოქცეული არა როგორც ახალი კრედიტორი, არამედ როგორც სახელმწიფო უწყება.

ბ) სამართლებრივი მდგომარეობა

ახალი კრედიტორი არ უნდა განვიხილოთ გადადისუუნარობის კრედიტორად, მას არაფერი აქვს საერთო გაკოტრების წარმოებასთან, რომელიც მისგან დამოუკიდებლად დაიწყო. გაკოტრებაში იგი ხვდება მხოლოდ იმის გამო, რომ მოვალე ან კონკრეტული მმართველი მასთან განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს. ახალი კრედიტორი წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი კრედიტორია.

---

[78] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 179

გადახდისუუნარობის კანონით არ მოწმდება ახალი კრედიტორის მოთხოვნები, მასზე ასევე არ ვრცელდება მოთხოვნების წაყენების ვადა, რადგან მისი მოთხოვნა წრმოიშობა მხოლოდ წარმოების გახსნის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. იგი როგორც კრედიტორი ჩნდება უკვე გახსნილ წარმოებაში. ახალი კრედიტორები ასევე არ მონაწილეობენ კრედიტორთა კრებებში. კრედიტორთა კრებაზე ხმის უფლება დაკავშირებულია მოთხოვნის მოცულობასთან: 1 ლარის მოთხოვნა - 1 ხმა , რადგანაც ახალი კრედიტორის მოთხოვნები არ მოწმდება და არ ხდება მათი დაანგარიშება, შესაბამისად ისინი ვერ იღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში. სამაგიეროდ ახალი კრედიტორები მონაწილეობენ ამონაგების განაწილების წარმოებაში, სადაც ისინი მოთხოვნების ცრილის მე-2 რიგში არიან განთავსებულნი, ასევე-რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ღონისძიებებში.[79]

ახალი კრედიტორის მოთხოვნა წარმოიშობა ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ უკვე მიმდინარე ვალაუვალობის წარმოებაში, მასის მოთხოვნა მიმართულია უკვე ფორმირებული გაკოტრების მასის მიმართ. ახალი კრედიტორი შეიძლება უზრუნველყოფილ, ანუ გარანტირებულ კრედიტორთა რიცხვს მივაკუთვნოთ, ახალი კრედიტორის გარანტიებს ის განაპირობებს, რომ მისი მოთხოვნა სხვა კრედიტორებზე, მათ შორის უზრუნველყოფილ კრედიტორზე ადრე დაკმაყოფილდება. ძალიან ნაკლებია იმის პრაქტიკული შანსი, რომ ახალი კრედიტორი სრულად არ დაკმაყოფილდეს.[80]

გ) დაკმაყოფილება

ახალი კრედიტორის სრულად დაკმაყოფილების თეორიული შანსი ძალიან დიდია, გამომდინარე იქიდან, რომ ის მოთხოვნების განაწილების ცხრილის მე-2 რიგშია განთავსებული. ახალი კრედიტორის შანსს ის გარემოებაც ზრდის, რომ იგი უზრუნველყოფილ კრედიტორებზე ადრე კმაყოფილდება.[81]

იმ შემთხვევაში, თუ მე-2 რიგში რამდენიმე ახალი კრედიტორი განთავსდება, მაშინ ისინი დაკმაყოფილდებიან თავიანთი მოთხოვნების მოცულობის პროპორციულად , ასეთ დროს ახალი კრედიტორი სრულად შეიძლება ვერც დაკმაყოფილდნენ, რაც ვალაუვალობის სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოა. ამდენად, გაუმართლებელია ახალი კრედიტორების განთავსება კრედიტორთა მოთხოვნების ცხრილში, სხვა დანარჩენ კრედიტორებთან ერთად.

---

[79] იქვე, გვ. 181

[80] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 182

[81] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 40.1 „ბ“

გაკოტრების კანონის მსგავსად, ისინი უნდა იდგნენ მოთხოვნების ცხრილის გარეთ და საერთო განაწილების წარმოებაში არ უნდა მონაწილეობდნენ.[82] ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას, და ვფიქრობ, რომ ახალი კრედიტორი არ უნდა იყოს მოთავსებული მე-2 რიგში, ვინაიდან მათი დაკმაყოფილებით, უფრო მნიშვნელოვანი კრედიტორები შეიძლება დაკმაყოფილების ჰარეშე დარჩნენ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრედიტორი და მისი დაკმაყოფილება.

[82] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 187

თავი IV

კრედიტორთა ორგანიზაციები

გაკოტრების წარმოებაში ხდება გაკოტრების კრედიტორთა ორგანიზებულობა, რაც გამოხატულებას პოულობს თვითმმართველი ორგანოების შექმნაში, როგორიცაა კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი. სამოქალაქო საპროცესო წარმოებაში, რაც არ უნდა ბევრმა კრედიტორმა მოიყაროს თავი, არ ხდება მათი ორგანიზებულად გაერთიანება, ხოლო კრედიტორთა სიმრავლე არ აძლევს მათ უფლებას, თავიანთი მოთხოვნების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხები კენჭისყრით გადაწყვიტონ.

თითოეული კრედიტორი მრავალკრედიტორიან წარმოებაში მაინც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და არ არის შებოჭილი სხვა კრედიტორების გადაწყვეტილებებით.

სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, გაკოტრების წარმოება გვევლინება მართვის წარმოებად, ხოლო წმინდა პროცესუალური მოქმედებების ადგილს იკავებს მართვის ელემენტები. მაგალითად, ინიშნება გაკოტრების მმართველი, რომელსაც გადაეცემა გაკოტრების მასის მართვის უფლებამოსილება, ასევე იქმნება კრედიტორთა თვითმმართველობის ორგანოები, რაც საერთოდ უცხოა სასარჩელო წარმოებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაკოტრების წარმოებაში იქმნება კრედიტორთა ორი რგანიზაცია: კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი.

კანონმდებელი აქვე განმარტავს, რომ გაკოტრების გამარტივებული წარმოების დროს დაშვებულია, რომ არ შეიქმნას კრედიტორთა არც ერთი ორგანიზაცია.[83]

4.1 კრედიტორთა კრება

ა) ცნება

კრედიტორთა კრება - ეს არის ძირითადში გაკოტრების კრედიტორების ერთობლიობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

[83] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 40

გადახდისუუნარობის კანონის თანახმად კრედიტორთა კრებაში მონაწილეობს ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი.

გაკოტრების ქართული სამართალი კრედიტორთა რამდენიმე კრებას იცნობდა, ესენია: კრედიტორთა პირველი კრება, კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება, სამომრიგებლო კრება, კრედიტორთა უკანასკნელი კრება. კანონი ზოგიერთ შემთხვევაში უშვებს აგრეთვე კრედიტორთა შერეული კრების ჩატარების შესაძლებლობას. კრედიტორთა კრებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ფუნქციებითა და ამოცანებით.[84]

გადახდისუუნარობის კანონი მხოლოდ ერთი სახის კრებას აღიარებს - კრედიტორთა კრებას, რომელსაც ზოგჯერ კრედიტორთა პირველ კრებასაც უწოდებს, კანონი უშვებს აგრეთვე სხვა რიგგარეშე კრებების მოწვევის შესაძლებლობას. კრედიტორთა კრება თავისი ფუნქიებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მოიცავს პირველ კრებასაც, სადაც მეურვის მოხსენება უნდა განიხილონ და - მოთხოვნების შესამოწმებელ კრებასაც, სადაც კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება და დადგენა ხდება.[85]

კრედიტორთა პირველი კრება თავდაპირველად სავალდებულოდ უნდა ჩატარებულიყო განაცხადის წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღეში, ეს ვადა აშკარად მოკლე იყო, ვინაიდან, 29-ე მუხლის თანახმად, კრედიტორებს მოთხოვნების წარმოსადგენად 30-დღიანი ვადა ჰქონდათ. 2009 წლის ცვლილებებით, კანონმა 21-ე მუხლის 1-ლი „ბ“ პუნქტში მოაწესრიგა, რომ წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა პირველი კრების დღემდე შუალედი 30 დღე უნდა იყოს. კრედიტორთა პირველ კრებაზე უნდა შემოწმდეს კრედიტორთა მოთხოვნები და მეურვემ უნდა წარმოადგინოს მოხსენება მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუ კი მოვალებ შეიტანა განცხადება მე-17 მუხლის მიხედვით, კრედიტორთა კრებაზე მაშინვე დაინიშნება გაკოტრების მართველი. კანონი იმ მოსაზრებას ეფუძვნება, რომ კრედიტორთა პირველი კრება დიდხანს გაგრძელდება, თუმცა იგი მაქსიმუმ 7 დღეს შეიძლება გრძელდებოდეს, მომდევნო კრებები კი არაუმეტეს 3 დღისა. კრედიტორთა უმრავლესობის მოთხოვნით მოსამართლემ შიძლება ეს ვადა გააგრძელოს.[86]

---

[84] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 79

[85] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 148

[86] შნიდგერი, მიგრიაული, გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, „დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, გამომცემლობა „სიესტა“, თბ. 2011, გვ. 94

გაკოტრების კანონით კრედიტორთა კრების მოწვევის უფლება აქვს მხოლოდ გაკოტრების სასამართლოს. მოწვევა ხორციელდება საჯარო გამოცხადებით. გადახდისუუნარობის კანონით კრედიტორთა პირველადი კრების თარიღს განსაზღვრავს სასამართლო გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებით, ხოლო მას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველი. ყოველი მომდევნო რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს მეურვეს, არანაკლებ 10% ხმების მქონე კრედიტორს და მოვალეს. კრედიტორთა კრებას ხელმძღვანელობს სასამართლო, ანუ მის სხდომებს უძღვება გაკოტრების მოსამართლე.[87]

კრებაზე დასწრების უფლება აქვს ყველა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორს, რომლებიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენენ სასამართლოს თავიანთ მოთხოვნებს მოვალის მიმართ, კრედიტორთა კრებაზე დასწრების უფლება აქვს მოვალესაც.

კრედიტორთა კრება უფლებამოსულია თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%.

კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მასზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხმათა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარის მოთხოვნა - ერთი ხმა. თუ კრედიტორთა კრება არ შედგა ან კრება გადამწყვეტუუნაროა, ან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, 7 დღის ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილ ხმათა რაოდენობის მიხედვით. თუ კრედიტორთა მეორე კრება არ შედგა, ან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, კრების ჩატარების თარიღის შესახებ გადაწყვეტილებას გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 5 დღისა, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და ამ გადაწყვეტილებას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.[88]

კრების მოწვევა აუცილებელი არ არის თუ კრედიტორთა 50%-ზე მეტი დაეთანხმა განსახილველ საკითხს, აღნიშნული თანხმობა კრედიტორთა კრების ოქმის ტოლფასია და კრების გადაწყვეტილებად ითვლება.

კრედიტორთა პირველ კრებაზე მეურვე უნდა წარდგეს მოხსენებით მოვალის ქონების, მათ შორის, მოვალის მოსაძიებელი ქონების შესახებ. თუ პირველმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მოვალის მოსაძიებელი ქონების მოძიების შეწყვეტის

[87] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 27
[88] იქვე, მუხლი 27. 10-11

შესახებ, მეურვე წყვეტს ამ ქონების მოძიებას, თუ კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მოსაძიებელი ქონების მოძიების გაგრძელების შესახებ, მეურვემ ქონება უნდა მოიძიოს 15 დღის ვადაში და შედეგი უნდა წარუდგინოს კრედიტორთა კრებას. [89]

ბ) კრედიტორთა კრების ფუნქციები

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის მიხედვით კრებაზე წყდება შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) კრება მოისმენს მეურვის მოხსენებას მოვალის ქონების, მათ შორის მოსაძიებელი ქონების შესახებ, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების,ასევე, უზრუნველყოფილი კრედიტორების შესახებ.

ბ) ინიშნება მომრიგებელი საბჭოს წევრი და იქმნება მომრიგებელი საბჭო.

გ) ინიშნება გაკოტრების მმართველი, თუ კრედიტორები ვერ აირჩევენ მმართველს ან მოვალეს მე-17 მუხლით მოითხოვს გაკოტრებას.

დ) ამტკიცებს კრედიტორების მიერ არჩეულ რეაბილიტაციის მმართველს.

ე) ქმნის კრედიტორთა კომიტეტს და განუსაზღვრავს მას უფლებამოსილების ფარგლებსა და საქმიანობის წესს.

ვ) ამოწმებს კრედიტორთა მოთხოვნებს.

ზ) განსაზღვრავს რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას.

თ) განსაზღვრავს რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს.[90]

---

[89] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 27.15

[90] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 151

4.2 კრედიტორთა კომიტეტი

კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, უბრალო უმრავლესობით შექმნას კრედიტორთა კომიტეტი. მას შეუძლია მოაწესრიგოს მისი შემადგენლობა და უფლებამოსილებები. კანონი ცალსახად ადგენს, რომ კრედიტორთა კომიტეტი სავალდებულო არ არის. თუმცა, პრაქტიკულად, წარმოების ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია, ასეც მოხდეს. კრედიტორთა კომიტეტის შექმნა მიზანშეუწონელი იყო აგრეთვე მცირე გაკოტრებების დროს, ვინაიდან მისი არსებობა გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. უცხოეთის გაკოტრების პრაქტიკაში კრედიტორთა კომიტეტები გვევლინებიან მხოლოდ დიდი წარმოებების დროს, როდესაც მოვალის ქონების მართვისას აუცილებელი ხდება გაკოტრების მმართველის მოქმედებების დამატებითი გაკონტროლება.[91]

გაკოტრების კანონის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტი ორი სახის იყო, მუდმივი და დროებითი. კრედიტორთა მუდმივი კომიტეტი აირჩეოდა კრედიტორთა კრების მიერ, ხოლო კრედიტორთა დროებითი კომიტეტი ინიშნებოდა გაკოტრების სასამართლოს მიერ. კრედიტორთა კომიტეტი შეიზლება არჩეულიყო როგორც პირველ კრებაზე, ასევე მომდევნო კრებებზე. კრედიტორის კომიტეტის წევრებად ძირითადად აირჩეოდა გაკოტრების კრედიტორები, ასევე შეიძლებოდა არჩეულიყო კომპეტენტური წევრები. დაუშვებელი იყო კომიტეტის წევრად არჩეულიყო ვალაუვალი მოვალე და გაკოტრების მმაერთველი.[92]

ა) კრედიტორთა კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილება

გაკოტრების წარმოებაში კრედიტორთა კომიტეტს განსაზღვრული ფუნქციები აკისრია იგი მოწოდებულია დახმარება გაუწიოს გაკოტრების მმართველს თავისი საქმიანობის განხორციელებისას, მაგრამ მას არ შეუძლია მითითებები მისცეს

[91] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ. 2017, გვ. 152

[92] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 81

მმართველს . ზოგიერთი იურიდიული ქმედება რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მასის მდგომარეობაზე შეთანხმებული უნდა იქნეს კომიტეტთან.[93]

რაც შეეხება უფლებამოსილების წრეს, გაკოტრების კანონის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტს აქვს უფლება მოსთოვოს გაკოტრების მმართველს მოხსენებისა და საფინანსო ანგარიშის წარდგენა. მას შეუძლია შეიტანოს განცხადება საგაკოტრებო მორიგების თაობაზე, ამის გარდა კრედიტორის კომიტეტს უფლება აქვს გაკოტრების მმართველის ანგარიშს დაურთოს თავისი შენიშვნები. მას შეუძლია განახორციელოს გაკოტრების მმართველის საფინანსო საქმიანობის შემოწმება.

გადახდისუუნარობის კანონი კრედიტორთა კომიტეტის მხოლოდ 3 მუხლს განიხილავს, და პრაქტიკაში გამოუყენებელია თითქმის ეს მუხლი, ვფიქრობ რომ კომიტეტის არსებობა აუცილებელია.

[93] მიგრიაული რ. „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშაებული გამოცემა, თბ.2006, გვ. 82

თავი V

კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის მიხედვით

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონმა პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი ნაკლოვანი მხარე გამოავლინა და ამ თვალსაზრისით წრე საკითხებისა, რის გამოც გადაწყდა ახალი კანონის ინიცირება, რამდენიმე ჯგუფად იყოფა. არის ნორმები რომელიც ხელს უშლის პროცესის ეფექტიანობას. ახალმა კანონპროექტმა უნდა იტვირთოს როლი იმისა, რომელიც იქნება მართლაც დამხმარე ფინანსური სიძნელეების მქონე სტრუქტურებისთვის, მეწარმეებისთვის გამოდგება როგორც საშუალება პრობლემის მოგვარებაში, იქნება ეს რეაბილიტაციის გზით თუ გაკოტრებით.

ამ თავში გავაკეთებ შედარებებს კრედიტორის შესახებ გაკოტრების 1996 წლის, გადახდისუუნარობის 2007 წლისა და გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით.

გაკოტრების 1996 წლის კანონით, (მუხლი 6.1) გაკოტრების კრედიტორად მიიჩნეოდა ყველა ის პირი, ვისაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისთვის ვალაუვალი მოვალის მიმართ ჰქონდა საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია. [94]დაახლოებით ანალოგიურ განმარტებას იძლება გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით (მუხლი 3 „ი“), კრედიტორი - პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა). თუმცა იმ განსხვავებით, რომ იგი ასეთ კრედიტორად მიჩნეულ პირს არ უწოდებს არც „გაკოტრების კრედიტორს“, არც „გადახდისუუნარობის კრედიტორს“, არამედ უბრალოდ „კრედიტორს“.[95] რაც შეეხება გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით (მუხლი 3 „დ) კანონში შემოდის ახალი ტერმინით კრედიტორი, „რეესტრის კრედიტორი“ - პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების შესახებ განჩინების გამოტანის მომენტისთვის მოვალის მიმართ გააჩნია მოთხოვნა.

1996 წლის კანონი განმარტავს, „კრეტიროს მოვალის მიმართ ჰქინდა საფუძვლიანი *ქონებრივი* პრეტენზეა“, გადახდისუუნარობის კანონი - „კრედიტორის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი *ფინანსური* მოთხოვნა“. ვფიქრობ რომ ახალი კანონი ხაზს უსვამს ფინანსურ მოთხოვნას, ვინაიდან კრედიტორს ფულადი ამონაგები აინტერესებს, ქონებაში შეიძლება შევიდეს უძრავი და მოძრავი ნივთებიც, ხოლო

[94] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 6.1

[95] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3 „ი“

როგორც ვიცით, კრედიტორი კმაყოფილდება ქონების ამონაგებით, შესაბამისად თანხით. აქედან გამომდინარე მართებულად მიმაჩლია გადახდისუუნარობის კანონის განმარტება. რეფორის მიხედვით კი კანონი არ აკონკრეტებს, არც ქონებას, არც ფინანსებს, - „..... მოვალის მომართ გააჩნია მოთხოვნა“.

გაკოტრების კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორს გირავნობის უფლების მქონე მესამე პირს უწოდებდა (გაწკა მუხლი 20.2), მაგრამ გირავნობის უფლება აქ უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გაგებული და იგი უნდა გავრცელებულიყო იპოთეკაზეც, ვინაიდან გაკოტრების კანონი საუბრობს არა მხოლოდ „გირავნობის უფლებით დატვირთულ საგანზე“, არამედ ზოგადად სანივთო სამართლებრივ უზრუნველყოფაზე.[96] გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორად პირდაპირ აღიარებს აგრეთვე შემოსავლების სამსახურსაც, გამომდინარე იქიდან, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებით. რაც შეეხება გადახდისუუნარობის რეფორმას, უზრუნველყოფილი კრედიტორი განმარტებულია შემდეგნაირად, (მუხლი 3 „ვ), კრედიტორი რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.[97]

ვფიქრობ, რომ გადახდისუუნარობის რეფორმით შემოღებული განმარტება უზრუნველყოფილი კრედიტორისა უფრო ფართო ჭრილში განიხილავს მას, ვინაიდან გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ხოლო რეფორმა კრედიტორის მოთხოვნას უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

გაკოტრების ქართილი სამართალი არ იცნობდა ტერმინს „მასის კრედიტორი“ იგი გადმოღებული იყო გაკოტრების გერმანული სამართლიდან, ქართული სამართალი არ იძლეოდა ასევე მასის კრედიტორის დეფინიციას, სავარაუდოდ მისი განსაზღვრა ისევ ლიტერატურას, მეცნიერებასა და პრაქტიკას უნდა მიენდოს. საკუთრებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორებისაგან განსხვავებით მასის კრედიტორისთვის დამახასიათებელი ისიც იყო, რომ მისი მოთხოვნა მიმართული იყო უშუალოდ გაკოტრების მასისკენ, ვინაიდან მასის მოთხოვნა წარმოიშობოდა გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, როდესაც შეიქმნებოდა გაკოტრების მასა. გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი არ აღიარებს ცნებას „მასის კრედიტორი“, (გადკა მუხლი 3 „კ“) მას ახალ კრედიტორს უწოდებს, რომელიც ჩნდება

[96] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 20.2

[97] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3 „ე“

გადახდისუუნარობის განცხადების წამოებაში მიღების შემდეგ, მიღების თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ. გადახდისუუნარობის ახალ პროექტში გვხვდება „ახალი კრედიტორული მოთხოვნა“ (მუხლი 3 „ე“) - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი მოთხოვნა.

სამივე კანონით ახალ კრედიტორს მსგავსი განმარტება აქვს, 1996 წლის კანონი იცნობდა, როგორც მასის კრედტორს, ხოლო დღევანდელი და რეფორმის მიხედვით კანონი არ ცნობს მასის კრედიტორს, მას ახალ კრედიტორს უწოდებს, რაც სწორად მიმაჩნია.

ა) კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა

გაკოტრების 1996 წლის კანონი გაკოტრების ზოგიერთ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებდა, ამიტომ გაკოტრების სამართალი ასეთ მოთხოვნებს პრივილეგირებულ მთხოვნებს უწოდებდა, ხოლო მათ კრედიტორებს პრივილეგირებულ კრედიტორებს. გაკოტრების ტაბულაში პრივილეგირებული მოთხოვნები შემდეგნაირად იყო განლაგებული:[98]

1-ლი რიგი: გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის ხელფასისა და ხელფასის განაკვეთების მოთხოვნები.

მე-2 რიგი: საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები.

მე-3 რიგი: არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, ბანკების მოთხოვნები ინვესტირებული ფულადი კრედიტების დასაბრუნებლად და საქონლის მიმწოდებლის მოთხოვნები საწარმოს მიმართ.

მე-4 რიგი: სოციალური დაზღვევის ორგანოს, საპენსიო და სამედიცინო ფონდების, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის მოთხოვნები.[99]

მე-5 რიგი: ამ რიგში განთავსებული მოთხოვნები წარმოადგენენ არაპრივილეგირებულ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებში შედიოდა სასესხო, იჯარის,

[98] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 18.1
[99] იქვე, მუხლი 18.1

დავალების, და სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ასევე - მუშაკები წარმოების გახსნამდე სამ თვეზე მეტი ხელფასის მოთხოვნით.

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი, ასევე აღიარებს კრედიტორთა დაყოფას პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ კრედიტორებად, იმ განსხვავებით რომ სოციალური ინტერესი მთლიანად იგნორირებულია და უპირატესად სახელმწიფო ხაზინის ინტერესებია წამოწეული. ასე მაგალითად:

1-ლი რიგი: საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნებია განთავსებული.

მე-2 რიგი: მიმდინარე სახელმწიფო გადასახადები.

მე-3 რიგი: ისევ აღსრლების ეროვნული ბიუროს, როგორც მეურვის ხარჯები.

მე-4 რიგი: უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნები.

მე-5 რიგი: არაუზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნები.

მე-6 რიგი: სადაც ყველა არაუზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნაა დარჩენილი, წარმოადგენს არაპრივილეგირებულ კრედიტორების რიგს. [100]

გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით მოვალის გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასის განაწილება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები:

ა.ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცესოს ხარჯები;

ა.ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მმართველის ანაზღაურება;

ა.გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მიმდინარე შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, ასევე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები;

ბ) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები.

გ) კრედიტორთა ჯგუფები შემდეგი რიგითობით:

[100] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 40.1

გ.ა) პრეფერენციული მოთხოვნები - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე 3 თვის სახელფასო და შვებულების ხარჯები, ასევე სამუშაო ტრამვის გამო გადასახადის მოთხოვნები (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, ასევე მათი ოჯახის წევრების ხელფასების/ხარჯებისა), თითოეულ კრედიტორზე მაქსიმუმ 1000 ლარამდე ოდენობით.

გ.ბ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არაუადრეს 1 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხა.

გ.ბ) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებამდე წარმოშობილი სხვა გადასახადების თანხა.

გ.გ) მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებები.

გ.დ) არაპრივილეგირებული მოთხოვნები - კრედიტორის მოთხოვნა, რომლის თაობაზე მოვალე და კრედიტორი წინასწარ შეთანხმდნენ ასეთი მოთხოვნის არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილების თაობაზე.

გ.ე) კორპორატიული ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

როგორც ვთქვით 1996 წლის კანონისგან განსხვავებით ggადახდისუუნარობის 2007 წლის კანონში სოციალური ინტერესი მთლიანად იგნორირებულია და უპირატესად სახელმწიფო ხაზინის ინტერესებია წამოწეული. ხოლო რეფორმის მიხედვით კანონი უფრო უგრმავდება ამ საკითხს, აქაც წინა პლანზე სახელმწიფო ხაზინის ინტერესები დგას, მაგრამ შემოტონილია ახალი ტერმინი - „პრეფერენციული მოთხოვნები“- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე 3 თვის სახელფასო და შვებულების ხარჯები, ასევე სამუშაო ტრამვის გამო გადასახადის მოთხოვნები , თითოეულ კრედიტორზე მაქსიმუმ 1000 ლარამდე ოდენობით, ეს დამატება ძალიან საინტერესო და მისაღებია, ვინაიდან იკვეთება რომ ყურადღება ექცევა კრედიტორთა ბერდ, კანონი ამ მუხლით „კანონის ჩარჩოებიდან“, „ადამინურ ჩარჩოებში“ გადადის, რაც მისასალმებელია.

ბ) კრედიტორთა კრება

გაკოტრების კანონის მიხედვით კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ შემოწმებულ და აღიარებულ (დადგენილ) მოთხოვნებს (გაკოტრების კანონი, მუხლი 22 II). ზოგიერთ შემთხვევაში, დაშვებული იყო აგრეთვე, სადაო მოთხოვნის მქონე კრედიტორის მონაწილეობა კრებაში, თუკი მიღწეული იქნებოდა შეთანხმება ან მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება (გაკოტრების კანონი, მუხლი 22.5). კრედიტორთა კრების შემადგენლობას არ ქმნიდნენ საკუთრების, უზრუნველყოფილი და მასის კრედიტორები. გადახდისუუნარობის კანონის თანახმად კრედიტორთა კრებაში მონაწილეობს ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. რაც შეეხება ახალ კანონპროექტს (მუხლი 52.12) ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომლებიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენენ თავიანთ მოთხოვნებს მოვალის მიმართ, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას.

კრედიტორთა კრება თავდაპირველად მხოლოდ მაშინ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ მას დაესწრებოდა კრედიტორთა ნახევარზე მეტი, კანონის გაუგებარი ენის გამო, არ იყო ცხადი, თუ ამაში რა იგულისხმებოდა. 2009 წლის ცვლილებებით სიცხადე იქნა შემოტანილი, ამის მიხედვით, მნიშვნელოვანია ესწრება თუ არა კრედიტორთა მთლიანი ხმების 51%. ეს კი შესაბამისობაში მოდის იმასთან, რომ კრედიტორთა მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მიუხედავად წარმოდგენილი ხმათა რაოდენობისა.[101] ახალი პროექტი გვეუბნება, რომ კრედიტორთა კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი.

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით, თუ კრედიტორთა მეორე კრება არ შედგა ან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 5 დღისა, იღებს სასამართლო და ამ გადაწყვეტილებას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.[102] ახალი პროექტით კრების მოწვევის უფლება აქვს კრედიტორს, რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, მოვალეს, მმართველს, რეაბილიტაციის ზედამხედველს. კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ შეტყობინება აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უნდა განათავსოს ელექტრონულ სისტემაში

[101] შნიდგერი, მიგრიაული, გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, „დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“, გამომცემლობა „სიესტა“, თბ. 2011, გვ. 94

[102] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 27.11

კრების მოწვევის თაობაზე მოთხოვნის მიღებისთანავე, კრება უნდა გაიმართოს მოთხოვნის წარდგენიდან მე-7 დღეს.

როდესაც მოიწვევა კრედიტორთა მეორე და შემდეგში მესამე კრება, თუ კი მეორე კრება არ შედგება, ან ვერ მიიღება გადაწყვეტილება დაინიშნება მესამე კრება, გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი გაურკვევლად ტოვებს საკითხს, თუ რა უნდა მოხდეს, თუ კი კრედიტორთა მესამე კრებაზეც არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. გაკოტრების მმართველის არჩევისათვის ცვლილებების კანონმა 37-ე მუხლის მე-2 აბზაცში შემოიღო წესი, რომ მაშინ ვალაუვალობის წარმოება უნდა შეწყდეს და იმავდროულად უნდა დაიწყოს ლიკვიდაცია. ეს ცნება გულისხმობს ლიკვიდაციას მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით. ამ საკითხზე ასევე არაფერს გვეუბნება ახალი პროექტი.

გ) კრედიტორთა კომიტეტი

გაკოტრების 1996 წლის კანონის მიხედვით, კრედიტორთა კრებას შეუძლია შექმნას კრედიტორთა კომიტეტი, რომელიც შედგება გაკოტრების კრედიტორებისა და სხვა კომპეტენტური პირებისაგან. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კრედიტორთა კრება.[103] გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის მიხედვით, კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი წევრის არჩევის, გათავისუფლების და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესს, წევრთა რაოდენობისა და უფლებამოსილების ფარგლებს კრედიტორთა კრება განსაზღვრავს ხმათა უბრალო უმრავლესობით.[104] კანონპროექტის მიხედვით კრედიტორის კომიტეტის არჩევის უფლება აქვს კრედიტორთა კრებას (მუხლი 78.1) ასევე საუბარია კრედიტორთა კომიტეტის არჩევაზე, იგი ირჩევა სამი წევრის შემადგენლობით. კრედიტორთა კომიტეტის ერთ წევს ირჩევს უზრუნველყოფილი კრედიტორი, ხოლო ორ წევრს არაუზრუნველყოფილი კრედიტორები.

საყურადღებოა ისიც, რომ კრედიტორის კომიტეტის შექმნა აუცილებელია, თუ მოვალეს ჰყავს მინიმუმ 50 კრედიტორი და მისი მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი 2 კრიტერიუმიდან ერთს მაინც აკმაყოფილებს: ა)

[103] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 22(2)
[104] საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 28

აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს აღემატება; ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს აღემატება.

მსგავს საკითხებს არ ითვალისწინებს გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონები.

გაკოტრების კანონის მიხედვით კრედიტორთა კომიტეტი ორი სახისაა: კრედიტორთა მუდმივი და კრედიტორთა დროებითი კომიტეტი. კრედიტორთა მუდმივი კომიტეტი ირჩევა კრედიტორთა კრების მიერ, ხოლო კრედიტორთა დროებითი კომიტეტი ინიშნება გაკოტრების სასამართლოს მიერ. კრედიტორთა დროებითი კომიტეტის შექმნა განპირობებული იყო იმით, რომ გაკოტრების სასამართლომ კრედიტორთა პირველი კრების მოწვევამდე უზრუნველყოს უკვე დანიშნული გაკოტრების მმართველის საქმიანობის ხელშეწყობა და კონტროლი. გადახდისუუნარობის სამართლის მიხედვით კანონი იცნობს მხოლოდ ერთ კრებას ამავე აზრს იზიარებს ახალი პროექტიც.

გაკოტრების წარმოებაში კრედიტორთა კომიტეტს განსაზღვრული ფუნქციები ჰქონდა მიჩნეული. კერძოდ, მას დახმარება და კონტროლი უნდა გაეწია გაკოტრების მართველისათვის თავისი საქმიანობის განხორციელებისას, თუმცა მას არ შეეძლო მითითებები მიეცა მისთვის. გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კომიტეტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებდა მისთვის კანონით დაკისრებულ ამოცანებს.მხოლოდ ზოგიერთი იურიდიული ქმედება, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა მასის მდგომარეობაზე, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო კომიტეტთან. შეთანხმება გამოიხატებოდა კრედიტორთა კომიტეტის მხრიდან თანხმობის მიღებაში.

გადახდისუუნარობის კანონით არ არის განსაზღვრული კრედიტორთა კომიტეტის ფუნქციები. ამიტომ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა საკითხზე შეუძლია კომიტეტს მსჯელობა ან შეუძლია თუ არა მას, მაგალითად, შეასრულოს რომელიმე მმართველის მაკონტროლებლის ფუნქცია. ახალი პროექტის მიხედვით, კომიტეტი ვალდებულია:

ა) აქტიურად ითანამშრომლოს მართვაში მყოფ მოვალესთან/რეაბილიტაციის ზედამხედველთან ან რეაბილიტაციის მმართველთან რეაბილიტაციის გეგმის შემუშავების მიზნით;

ბ) კომიტეტის მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კრედიტორებს;

გ) კონსულტაცია გაიაროს და მოსაზრებები და შენიშვნები მიიღოს კრედიტორებისაგან.

გაკოტრების კანონი განსაზღვრავს კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილების წრეს. მაგალითად კრედიტორთა კომიტეტს შეეძლო მოეთხოვა გაკოტრების მმართველისაგან მოხსენებისა და საფინანსო ანგარიშის წარდგენა , მას უფლება ქონდა შეეტანა განცხადება საგაკოტრებო მორიგების თაობაზე , გაკოტრების მმართველის ანგარიშისთვის დაედო თავისი შენიშვნები, კრედიტორთა კომიტეტს შეეძლო შეემოწმებინა გაკოტრების მმართველის საფინანსო საქმიანობა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თანხმობის მიცემა გაკოტრების მმართველისათვის განსაზღვრული იურიდიული მოქმედებების შესასრულებლად, როგორიცაა: კრედიტორის მიღება,ვალდებულებების აღება, მიწის ნაკვეთის შეძენა ან გასხვისება, გაკოტრების მასისთვის პროცესების წარმართვა და სხვა. კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილება მთავრდებოდა გაკოტრების წარმოების დამთავრებისთანავე .

გადახდისუუნარობის კანონი, როგორც ავღნიშნე, კრედიტორთა კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას კრედიტორთა კრებას ანდობს. ახალი პროექტი (78.11) განსაზღვრავს კომიტეტის უფლებამოსილებებს:

ა) რეაბილიტაციის მმართველს , მართვაში მყოფ მოვალეს ან/და რეაბილიტაციის ზედამხედველს მოსთხოვოს:

ა.ა) კომიტეტისთვის ინფორმაციის წარდგენა მმართველის ან მართვაში მყოფი მოვალის მიერ ფუნქციების განხორციელების თაობაზე;

ა.ბ) მოვალის მიმდინარე საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ რელევანტური და აუცილებელი ინფორმაცია და გაეცნოს ფულადი სახსრების მიმოქცევის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ა.გ) კომიტეტის სხდომაზე დასწრება, სხდომის თაობაზე მოსაწვევი შესაბამის პირს უნდა გაეგზავნოს სხდომამდე არაუგვიანეს 7 დღისა;

ბ) მიიღოს მონაწილეობა რეაბილიტაციის გეგმის მომზადებაში, ასევე, მოამზადოს რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების პროექტი;

გ) მოამზადოს რეკომენდაციები კრედიტორთა კრების დღის წესრიგში შესულ საკითხებზე;

დ) რეაბილიტაციის მმართველის გათავისუფლებისა და ახალი მმართველის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

აღნიშნულ პროექტი შედგება 124 მუხლისგან, გადახდისუუნარობის კანონისგან განსხვავებით, რომელიც 58 მუხლისაგან შედგება, უფრო ფართო ჭრილშია განხილული გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებული საკითხები, ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული იქნება ეს კანონპროექტი.

დასკვნა

როგორც უკვე ვთქვით, გაკოტრების სამართლის შემოღებით, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მკვიდრდებიან ახალი მონაწილეები, რომლებსაც არ იცნობდა სამართლის თეორია და პრაქტიკა, ისინი აღჭურვილი არიან განსხვავებული უფლებებითა და ფუნქციებით.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთ ახალ მონაწილეს წარმოადგენს გაკოტრების კრედიტორი, გაკოტრების კრედიტორი ვალაუვალ მოვალესთან ერთად წარმოადგენს გაკოტრების წარმოების ერთ-ერთ მხარეს.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონი არეგულირებს ყველა სამართლებრივ პროცედურას, გადახდისუუნარობის საქმის განცხადების სასამართლოში შეტანის მომენტიდან, გაკოტრების წარმოების დამთავრების მომენტამდე.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება გაკოტრების სამართლის ისტორიულ გენეზისს, და ასევე განხილულია გადახდისუუნარობის კრედიტორის ცნება, და მისი შესაბამისობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან.

მეორე თავი ეთმობა კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას 1996 წლის კანონის მიხედვით, განხილულია კრედიტორის ცნება, კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი, გაკოტრების პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები, კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები, კერძოდ, საკუთრების, უზრუნველყოფილი და მასის კრედიტორები, ეს ყველაფერი შედარებულია დღევანდელ გადახდისუუნარობის კანონთან და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

მესამე თავი ეთმობა გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონის განხილვას, ამ თავში ჩაშლილია შემდეგი ინპორმაცია: გადახდისუუნარობის კრედიტორის ცნება, კრედიტორთა თანასწორობის პრინციპი, გადახდისუუნარობის პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კრედიტორები, კრედიტორთა განსაკუთრებული სახეები, კერძოდ, უზრუნველყოფილი და ახალი კრედიტორები.

მეოთხე თავში საუბარია გაკოტრების ორგანოებზე, კრედიტორთა კრებაზე და კრედიტორთა კამიტეტზე, ეს ორგანოები განხილულია როგორც 1996 წლის კანონით, ასევე გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით.

და ბოლოს მეხუთე თავში ვხვდებით გაკოტრების 1996 წლის, გადახდისუუნარობის 2007 წლის და გადახდისუუნარობის კანონის რეფორმის შედარებით ანალიზს, კონკრეტულად საუბარია კრედიტორთა ცნებაზე სამივე კანონის მიხედვით, საუბარია კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობაზე,

განხორციელებულ ცვლილებებზე, და ავტორისეულ შეფასებაზე. და ასევე საუბარია კრედიტორთა ორგანიზაციებზე, კრედიტორთა კრებაზე და კრედიტორთა კომიტეტზე, სამივე კანონის ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2014 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით.

საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ.

საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.

საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (პროექტი).

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი: ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ.

რ. მიგრიაული „შესავალი გაკოტრების სამართალში“, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2006წ.

რ. მიგრიაული „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, პირველი გამოცემა, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2011წ.

რ. მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბილისი 2017წ.

რ. მიგრიაული სტატია, „გაკოტრების სამართლის ზოგადი საკითხები“, თბილისი 1996წ.

რ. მიგრიაული სტატია, „მოვალის გაკოტრება, როგორც სანაციის საშუალება“, გამოქვეყნებულია გაზეთში „მსგეფსი“, 1997წ.

რ. მიგრიაული სტატია „გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე”, ჟურნალი „ალმანახი“, 1998წ.

რ. მიგრიაული სტატია, „უზრუნველყოფილი კრედიტორები გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ“, ბრემენი 2008წ.

რ. მიგირაული სტატია, „გადახდისუუნარობის ახალი კანონის შუქ-ჩრდილები“, გამოქვეყნებულია ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ.

ჰ. შნიდგერი, რ. მიგრიაული, გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, „დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა

და საერთაშორისო სტანდარტებთან“, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი 2011წ.